# თავისუფალი საქართველო

№5

31 დეკემბერი - 6 იანვარი 1994 - 95 წ.

ინდექსი 66421

ფასი 500 რუბლის შესაბამისი კუპონი

გაზეთი რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ

სარეგისტრაციო მოწმობის № 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


# 22 დეკემბერი - გამოცხადებული კატასტროფის დასაწყისი



## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გამოსვლა უზენაესი საბჭოს სესიის საგანგებო სხდომაზე 1991 წლის 8 ოქტომბერს

მე მინდა ძალზე გულწრფელი საუბარი თქვენთან და ქართველ ერთან ამ საკითხებთან დაკავშირებით, ვინაიდან სიმართლის მიჩქმალვა-შელამაზებამ გამოიწვია თქვენთვის ცნობილი უსიამოვნო მოვლენები,უნდა განვაცხადო თავიდანვე, რომ ჩემი ეს გამოსვლა არ გეგონოთ ან ულტიმატუმი, ან მუქარა, ან რაღაც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანის, უკიდურესობამდე მისული ადამიანის განცხადება. ეს არის რეალობა, რასაც მე თქვენ ახლა მოგახსენებთ, სრული რეალობაა, მე მივცემ პირუთვნელ შეფასებას შექმნილ სიტუაციას და იმ მოსალოდნელ შედეგებზე გესაუბრებით, რაც შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას, ვინაიდან გაცილებით მეტი ინფორმაცია მაქვს ყველაფერზე, ვიდრე ყოველ თქვენგანს, მე მგონი არ გეწყინებათ ამის შეხსენება, ამავე დროს, მინდა დაგისახოთ გამოსავალი გზები.

ჯერ კიდევ ა წ გაზაფხულზე მე დავრწმუნდი, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ჩვენს ქვეყანაში, რომელიც იყო იმჟამად წარმოდგენილი საქართველოს იმჟამინდელი მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას, მისი მოადგილეების და საერთოდ, მთავრობის შემადგენელი სხვადასხვა პიროვნებების მიერ, აშკარად მიცხადებდა უკვე დაუმორჩილებლობას, რაც გამოიხატებოდა თვითნებური გადაწყვეტილებების მიღებაში, უმნიშვნელოვანესი საკითხების ჩემთან არშეთანხმებაში, საკადრო და სხვა სფეროებში. მოგიყვანი კონკრეტულ მაგალითს. განსაკუთრებით ეს ეხებოდა სამხედრო სფეროს, ეროვნული გვარდიის სფეროს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. საქმე იქამდის მივიდა, რომ ფაქტიურად შექმნეს ჩემგან დამოუკიდებელი პატარა სახელმწიფო, მოგეხსენებათ, შენობაც ცალკე ჰქონდათ, თავისი არმიით უკვე, თავისი მმართველობით, დაირქვეს კიდევაც მთავრობა და მთავრობის თავმჯდომარე და პრეზიდენტისაგან დამოუკიდებლად ღებულობდნენ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში. მე ხაზგასმით ავღნიშნავ ამას, კერძოდ, გვარდიის დაფინანსება, გვარდიის რაოდენობა, გვარდიასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. მაგალითად: სამხედრო პროკურატურის საკითხი, რომელიც ყოვლად ანტიკონსტიტუციური იყო, ვინაიდან გვარდია არმია არ გახლავთ და ჩვენ ჯერ სამხედრო სამინისტრო არ გვქონდა, გადაწყვიტეს თვითნებურად და მე ვხედავდი, რომ გვარდიის ყოფილი სარდალი კიტოვანი ფაქტობრივად უკვე გამოვიდა ჩემი დაქვემდებარებიდან, სისტემატურად არ ასრულებდა ჩემს მითითებებს, არ ემორჩილებოდა არავითარ ბრძანებას, არავითარ რეკომენდაციას და ამაში მას ხელს უწყობდა ბატონი თენგიზ სიგუა და ისინი მოქმედებდნენ კოორდინირებულად, მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით. მე ერთხანს ვეცადე მომეგვარებინა ეს ყოველივე მოლაპარაკების, დარწმუნების გზით, ვუსაყვედურე კიდეც რამდენჯერმე, მაგრამ არავითარი შედეგი არ გამოიღო ამ კეთილგანწყობილმა საუბარმა და დარწმუნების მეთოდმა, პირიქით, უფრო მეტად გააქტიურეს ამგვარი მოქმედება და თვითნებობა, ხოლო ზაფხულში, როდესაც მოახლოვდა ე.წ. მოსკოვის პუტჩი, მე გთხოვთ, ეს ყველაფერი კარგად დაუკავშიროთ ურთიერთს, შეიძლება ითქვას, უკვე გადავიდნენ ისეთ მოქმედებაზე, რასაც მე შევაფასებდი, როგორც პრეზიდენტთან პირდაპირ კონფრონტაციას და შეიძლება ითქვას, მასთან შეჯახებისათვის სამზადისს. მათ უკვე ღიად, დაუფარავად დაიწყეს საუბარი საკადრო პოლიტიკაში საკუთარი მოსაზრებების შესახებ, რომ მათ უნდა შეეტანათ ესა თუ ის ცვლილებები საკადრო პოლიტიკაში, დაუფარავად გამოხატავდნენ ამ აზრებს სხვა თანამდებობის პირების თანდასწრებით, რასაკვირველია, არ ასრულებდნენ არავითარ ჩემს მითითებებს ამ სფეროში. მაგალითად მოგიყვანთ იმას, რომ კომუნისტი ფუნქციონერები, ყოფილი პარტიული ფუნქციონერები, ხელშეუხებლად განაგრძობდნენ იქ მუშაობას: ქვილითაია, ბერიძე და სხვები. ჩემი არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, ისინი კიდევ უფრო ავითარებდნენ ამ დამოუკიდებელ კურსს, ხოლო ბატონი თენგიზ კიტოვანი პირდაპირ გადადიოდა მუქარაზე, ტელევიზიის აღების იდეა მან წამოაყენა ჯერ კიდევ აგვისტოს პუტჩამდე ზოგიერთი თანამდებობის პირების თანდასწრებით. პირდაპირ გამოაცხადა მან, რომ თუ ტელევიზია იმ გზით არ წარმართავს მუშაობას, როგორც ეს ჩვენ გვაწყობს და თუ ის ბატონი თენგიზ სიგუას მიმართვას უარყოფს (მას უკვე ჰქონდა მომზადებული ასეთი მიმართვა, ჩემი საწინააღმდეგო მიმართვა), მაშინ ჩვენ ტელევიზიას სულაც ავიღებთო. ასე რომ, ტელევიზიის აღების განზრახვა ჯერ კიდევ იმჟამად მწიფდებოდა. როდესაც მე ვიმყოფებოდი ყაზბეგში,შემატყობინეს, რომ ასეთ მოვლენებს აქვს ადგილი, მე ჩამოვედი თბილისში და მაშინ პირდაპირ თენგიზ სიგუამ წაიკითხა პრეზიდიუმის სხდომაზე, შეიძლება ითქვას, ჩემი საბრალდებო დასკვნა, სადაც წამოიყენა ყოვლად დაუსაბუთებელი და უხამსი ბრალდებები და მოითხოვა მთელი რიგი თანამდებობის პირების და მინისტრების განთავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იმუქრებოდა რაღაც შედეგებით, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო მისი გადადგომა. მე რასაკვირველია ეს არ მივიღე, არ დავეთანხმე, იმ პრეზიდიუმზე დამსწრე პირები აქ ბრძანდებიან და მოეხსენებათ თუ რა ხასიათის იყო მისი მიმართვა, რომლის წაკითხვას იგი ტელევიზიითაც აპირებდა. ეს ყოველივე უარყოფილ და დაგმობილ იქნა და მივიღე, ასე ვთქვათ, მისი განცხადება განთავისუფლების შესახებ და გადადგომის შესახებ. თუმც, ერთიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ მანამდის, საკმაოდ დიდი ხნით ადრე მან თქვა, რომ როდესაც ირჩევენ პრეზიდენტს, მაშინ ძველი მთავრობა უნდა გადადგეს და პრეზიდენტმა ახალი მთავრობა უნდა შექმნასო და ყველგან და ყველა ქვეყანაში ასე ხდებაო, ადრე ის ამ აზრის იყო, მაგრამ რატომღაც, ჩემდა განსაცვიფრებლად, შემდეგ ეს აზრი მან შეიცვალა და ამას უკვე ძალიან არაკანონიერ მოვლენად მიიჩნევდა და უკვე მუქარაზე იყო გადასული. როდესაც იგი განთავისუფლდა თავისი თანამდებობიდან კი მე დავწერე [illegible] მიძახებულება, გავიდა ორი დღე და დაიწყო მოსკოვში პუტჩი. მაშინ ბატონი თენგიზ კიტოვანი წავიდა რკონში. მიუხედავად იმისა, რომ მე მას მოვთხოვე ორასამდე გვარდიელი დაეტოვებინა სამოქალაქო ფორმაში, ვინაიდან გვარდიელის ფორმაში საშიში იყო მისი თქმით ქალაქში დარჩენა, და დაეცვა პარლამენტის შენობა, მან ამაზე უარი განაცხადა, კვლავ დაუმორჩილებლობა გამოიცხადა და გვარდია სრული შემადგენლობით წაიყვანა რკონში. თუმცა, იქ მას საკმაოდ ალლუმი და თვალის ასახვევად დააფიცა პრეზიდენტის ერთგულებაზე გვარდიელები, მაგრამ რა ერთგულებაზე შეიძლებოდა ყოფილიყო ლაპარკი, როდესაც არც ერთ ჩემს მითითებას და ბრძანებას არ ემორჩილებოდა და იქ შექმნა ფაქტიურად დამოუკიდებელი სამხედრო ბანაკი, პრეზიდენტთან დაპირისპირებული. ეს ყოვე-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

---

ერი გახლეჩილია ორად, დამნაშავეობამ და კორუფციამ არნახულ დონეს მიაღწია, ეკონომიკა კატასტროფის წინაშე დგას, შეიარაღებული კონფლიქტი შიდა ქართლში შემდგომი ესკალაციის გზით ვითარდება, არ არის პერსპექტივები საქართველოს საერთაშორისო აღიარების საქმეში.

... ნიშანდობლივია, რომ, გრძნობს რა იმ მომაკვდინებელი საფრთხის მოახლოებას, რომელსაც მოუტანს მას კარს მომდგარი ზამთარი, რომლისთვისაც რესპუბლიკა არ არის მზად არც ერთი თვალსაზრისით, ხელისუფლება შეეცადა პასუხისმგებლობის ნაწილი ოპოზიციისთვის დაეკისრებინა.

*დავით ბერძენიშვილი, ზურაბ ჟვანია, ივლიანე ხაინდრავა*

*"დრონი", 1991 წლის 8 ნოემბერი. N43*

---

იმპერიის შესაძლო სცენარი - იგი ასე მესახება: საქართველოს პრეზიდენტი აპატიმრებს "ოპოზიციას", შემდეგ ეწყობა ბუტაფორული პუტჩი, რომლის ლოზუნგებზეც "ოპოზიციონერთა" გვარები წერია. საბაბით, "რა გვექნა? პუტჩისტები ამათ დროშად იყენებდნენ", ხელისუფლება ფიზიკურად გაანადგურებს ამ პატიმრებს."

ამ დანაშაულს პრეზიდენტი შეეწირება და საქართველოს ხელისუფლად ვინმე ხელ-თბილი პიროვნება დაჯდება.

ამასობაში "ერთობლივი ეკონომიკური სივრცის" კაბალური ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილი და კენჭნაყარი იქნება რეპრესიებით შეშინებული პარლამენტის მიერ.

*ნოდარ ნათაძე*

*"დრონი". 1991 წ. 22 ნოემბერი. N45*

---

ცრუობს პრეზიდენტი, როდესაც აცხადებს, რომ, თუ იგი გადადგება, დაიკარგება აფხაზეთი და სამაჩაბლო, სწორედ მისმა "დიდმა დიპლომატიამ" მიიყვანა დღეს სამაჩაბლო და აფხაზეთი ამ მდგომარეობამდე.

ცრუობს პრეზიდენტი, როდესაც აცხადებს, რომ მთელი მსოფლიო, მთელი ცივილიზებული სამყარო მზად არის, აღიაროს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამას მოსკოვი აღიარებს.

ცრუობს პრეზიდენტი, როდესაც ამბობს, რომ ეკონომიკა საქართველოში კატასროფის წინაშე დადგება, თუ ის დასტოვებს ამ პოსტს, სწორედ მისმა აბსოლუტურმა უცოდინარობამ ეკონომიკაში მიიყვანა საქართველო დღეს ასეთ მძიმე მდგომარეობამდე.

ცრუობს პრეზიდენტი, როცა აცხადებს, რომ მას უჭირს ინტელექტუალური კადრების შერჩევა, ჩვენ დღეს გვიჭირს, ჩვენ არა გვაქვს სურსათი, ჩვენ არა გვაქვს პირველი მოთხოვნილების საგნები, მაგრამ საქართველო ბედნიერია იმით, რომ ინტელექტუალური ხალხის ნაკლებობა აქ აბსოლუტურად არ იგრძნობა.

ცრუობს პრეზიდენტი, როცა აცხადებს, რომ დღისით და ღამით ხალხისათვის ზრუნავს

*თენგიზ სიგუა*

*"განათლება", 1991 წ 25 IX. N3*

---

აი, მეგობრებო, რა უბედურება შეიძლება მოჰყვეს პრეზიდენტის სტატუსისა და პიროვნების ხელყოფას! ასე შეაშინა მან დეპუტატები და სრულიად საქართველო!

კითხულობ ამ სტრიქონებს და ფიქრობ: მართლა სჯერა ამ ადამიანს, რასაც ამბობს, თუ?. ნუთუ ვინმემ შეიძლება სერიოზულად აღიქვას ზ.გამსახურდიას გადადგომის შემთხვევაში თბილისის დაქცევის სურათი? არ ვიცით, ნამდვილად არ ვიცით! თბილისი, რომელიც ურიცხვმა მტერმა ვერ აღგავა, პირისაგან მიწისა, შესაძლოა ერთი პიროვნების გადადგომამ მოსპოს XX საუკუნის მიწურულში?

ღმერთო, შენ დაგვიფარე ცრუწინასწარმეტყველთაგან!

*"ივერია", 11 ნოემბერი №31, 1991 წ.*

---

... დიქტატურის დღეები რომ დათვლილია, ეს უკვე ნათელია, ეს უკვე ნათელია და თავად მისი მომხრეებიც გრძნობენ, ჩვენი თვითმიზანი არ არის კონკრეტულად ვინმეს ჩამოგდება, ჩვენ გვინდა, რომ ჯანსაღი მსოფლიოს თვალში ლიბანი არ დაგვერქვას.

ვისურვოთ, რომ ერი და ბერი გავერთიანდეთ და სიმართლით გვევლოს. მე იმედი მაქვს მალე ჩვენი საქართველოო ერთ-ერთი სამართლებრივი, დემოკრატიული ქვეყანა გახდება. ჩვენი ხალხი კი თავისუფალი იქნება.

*ვახტანგ გოგუაძე*

*"განათლება", 1991 წლის 25 სექტემბერი, N3*

(დასაწყისი 1 გვ.)

# 22 დეკემბერი - გამოცხადებული კატასტროფის დასაწყისი

ლივე გადაიზარდა შემდგომ კიდევ უფრო უსიამოვნო მოვლენებში. როგორც გახსოვთ, დაუკავშირდა ეს, ასე ვთქვათ, რკონში მის მიერ შექმნილი ბანაკი, აქაურ ოპოზიციას, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, გამოდიოდა პირდაპირ ხელისუფლების დამხობის მოთხოვნებით და შეიქმნა ეს დიდი ბლოკი. რა მოვლენები მოჰყვა ყოველივე ამას, თქვენ გახსოვთ. 2 სექტემბერს მომხდარი ინციდენტი, ჩემის ღრმა რწმენით, აგრეთვე დაკავშირებული იყო ამასთან, ჩვენდამი მტრულად დაპირისპირებული ძალები, როგორც ჩანს, ორივე მხარეს იყვნენ, მე კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავ ამას, მილიციაშიც იყო რომელიღაც პიროვნება თუ პიროვნებები, რომელნიც ემსახურებოდნენ ოპოზიციონერებს, რათა მომხდარიყო იქ სროლა, მომხდარიყო მიტინგის დარბევა და ვიმეორებ და ვადასტურებ, რომ ეს იყო მათი თვითნებური მოქმედება, რათა შემდგომში ეს ყოველივე დაბრალებოდა ხელისუფლებას და ხელისუფლების ძალადობით დამხობის ცდა განხორციელებულიყო. ე.ი. მოხდა დიდი კოორდინაცია ამ ძალებს შორის, მოხდა პროვოკაციული ინციდენტები და შემდეგ მოხდა გვარდიის ჩამოსვლა თბილისში, მისი დაბანაკება ჯერ შავნაბადაზე და შემდეგ ტელევიზიის აღება და ტელევიზიასთან შექმნა ყველასათვის ცნობილი ამ ბანაკისა. გაძლიერდა ეს ანარქიული ქმედება. გაძლიერდა და უკიდურესი გამწვავება მოხდა კრიმინოგენული სიტუაციისა ქალაქში. თქვენ კარგად იცით ეს და დღესაც გრძელდება და მოხდა რამდენიმე შეიარაღებული თავდასხმა სახელმწიფო დაწესებულებებზე, მათ შორის უზენაეს საბჭოზე. არის ადამიანთა მსხვერპლი. შეიძლება ითქვას, რომ ამ ძალებმა ჩვენ გამოგვიცხადეს პირდაპირი შეიარაღებული ბრძოლა და განახორციელეს კიდევაც რამდენიმე ასეთი აქცია. ყოველივე ამას, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ეწოდება ამბოხება, სამხედრო და სამოქალაქო ამბოხება, ანუ პუტჩი. ტერმინი პუტჩი შეიძლება არ იყოს სამართლებრივი და შეიძლება ჩვენს დადგენილებაში ეს სიტყვა არ ვიხმაროთ, მაგრამ ეს გამოხატავს მოვლენის არსს. აშკარა ამბოხება სამხედრო პირების მონაწილეობით, ყველა ქვეყანაში იწოდება პუტჩად. ამაში არავითარი გადაჭარბება არ გახლავთ და ჩემის აზრით უზენაესი საბჭო თუ თავის თავს პატივს სცემს, თუ პატივს სცემს იმ ქვეყანას, რომლის უზენაეს საკანონმდებლო ორგანოდაც იგი ითვლება, უნდა მისცეს ამ მოვლენებს სახელმწიფო გადატრიალებისა და პუტჩის კვალიფიკაცია. სხვანაირად ყოველივე ეს წარმოუდგენელია, მეგობრებო. და მე ვიტყოდი დაუშვებელია, თუ პარლამენტს სურს იარსებოს, მან სიმართლე უნდა უთხრას ქართველ ხალხს და გამოიტანოს მართალი და ობიექტური დადგენილებები.

ეხლა მინდა პირდაპირ და გულწრფელად მოგახსენოთ ერთი ამბავი. ჩვენში არის ბევრი დავა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ხელისუფლების სტრუქტურა საქართველოში - პარლამენტური რესპუბლიკა უნდა ვიყოთ ჩვენ, თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა; როგორი უნდა იყოს პრეზიდენტის მმართველობა - შეზღუდული, თუ პირიქით, გაფართოებული. ამაზე მიმდინარეობს დებატები. მე მესმის ოპოზიციის მოსაზრებები, იმ ოპოზიციისა, რომელიც ჯერჯერობით პარლამენტში რჩება. არის გარე ოპოზიციაც, რომელიც გამოთქვამს ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებებს. მე მოგახსენებთ ჩემს თვალსაზრისს და ანალოგიებსაც მოგახსენებთ, რომლის გატარებაც უყვართ ზოგჯერ ჩვენს ოპოზიციონერებს. აი, მაგალითად, იყო წამოყენებული მოთხოვნები ჩემი გადადგომის შესახებ. ყველამ კარგად იცით, რომ მე არ ვეჭიდები ამ თანამდებობას და უკიდურესად მძიმეა და რთულია ჩემთვის ამ მოვალეობის შესრულება, ძალზე მძიმეა და ვინც არ უნდა იყოს ჩემს ადგილას, ყველასათვის ეს იქნება უკიდურესად მძიმე ჯვარი. ამას მე სრულის პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ამავე დროს პირდაპირ გეუბნებით, მიუხედავად იმისა, რომ (პიროვნულად) არა ვარ მე მოსურნე ამ პოსტზე დარჩენისა, ამას მე გულწრფელად ვაღიარებ, ჩემი ამ პოსტიდან წასვლა გამოიწვევს საქართველოში სულ მცირე რამდენიმე ათეული პარალელური მთავრობის შექმნას და რამდენიმე ათეული პრეზიდენტის აღმოცენებას. უფრო მეტიც, გამოიწვევს საქართველოს ადგილზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, აბსოლუტური გადაჭარბების გარეშე გეუბნებით, ფრჩხილებს არ ვხსნი, ყველანი მიხვდით. ყველამ დაძაბეთ გონება და განსაკუთრებით გთხოვთ, ბატონო ოპოზიციონერებო, თქვენ, რამეთუ არ იცით რას ითხოვთ, გესმით? მე ქუჩის გონებადაბნელებულ ოპოზიციას ვერ მოვუწოდებ ვერაფრისაკენ, მაგრამ აქ განათლებული ადამიანები არიან, ეხლა პირფერობა მე არ მინდა, ამ ჩვენს ოპოზიციაში უაღრესად განათლებული, უაღრესად გათვითცნობიერებული და მე ვიტყოდი, საკმაოდ პოლიტიკურად მომწიფებული ადამიანები რომ აყენებენ ამ მოთხოვნას, არა იციან, რას იქმან, ვინაიდან ეს უახლოეს ხანში გამოიწვევს საქართველოს, როგორც ასეთის, საქართველოს სახელმწიფო მთლიანობის სრულ დეზინტეგრაციას და დარღვევას, სრულ ანარქიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და კერძოდ თბილისში და მე დაგიხატავთ თბილისს თუ ეს ამბავი მოხდა. აი, ასეთ შემთხვევაში თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად, დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება ერთადერთი ხელისუფლება - შეიარაღებული ბანდები და მათი ხელმძღვანელები. ყოველი უბანი იქნება თითო შეიარაღებული ბანდის ხელში და მისი ხელმძღვანელის ხელში. მათ შორის იქნება შეიარაღებული ბრძოლა ძალაუფლებისათვის და ზეგავლენისათვის და იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა, მოიშლება ყველაფერი: ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები. აღარ იარსებებს სამართალდამცავი ორგანოები, აღარ იარსებებს სურსათით მომარაგება, აღარ იარსებებს სამედიცინო მომსახურება, თბილისი შესაძლოა გადაიქცეს მკვდარ ქალაქად და საერთოდ შეწყვიტოს არსებობა. თუ დაიწყო თბილისში ის ანარქია, რომლისკენაც სურთ უბიძგონ აი, ამ ეგრეთწოდებულ ოპოზიციონერებს და ვიმეორებ, იქნება ხელისუფლების რამდენიმე კერა, ერთ-ერთი და უძლიერესი იქნება იმის ხელში, ვის ხელშიც არის მეტი შეიარაღებული ფორმირებები. დანარჩენები იქნებიან გაბნეულნი თბილისის სხვადასხვა უბნებში. საქართველოსაც გადაედება შემდეგ ეს ტენდენცია და საქართველოშიც დაიწყება იგივე ლიბანიზაცია, რასაც ჩვენ დავინახავთ თბილისის ტერიტორიაზე. ამას შედეგად ის არ მოჰყვება რაც ეგონათ, რაც ჰგონია ზოგიერთს, რომ შემოვა რუსეთი, მოსკოვი და იქ დაამყარებს სამხედრო დიქტატურას ვერ დაამყარებს, ფიზიკურად ვერ დაამყარებს საქართველოში ამას. საქართველო გახდება მსხვერპლი ტოტალური ანარქიისა და საერთოდ საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. აი, რა მოჰყვება ჩემს შესაძლო გადადგომას, რომელსაც ესოდენ მხურვალედ მოითხოვენ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიები და მგონი ზოგიერთს, პარლამენტური ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელსაც ეს გულში აქვს ღრმად დამარხული. ეს არ არის მუქარა. ეხლა რაც მე ვთქვი, ეს არ არის გადაჭარბება და ეს არ არის ჩემი პიროვნების, ვთქვათ, თავზე მოხვევა თქვენთვის, ანდა სურვილი, რომ მაინც და მაინც მე დავრჩე ამ პოსტზე. ჩემო ბატონებო, ეს არის რეალობა და მე გთხოვთ, გაახილოთ თვალი და გაუმართოთ თვალი აი, ამ რეალობას, ჩემო ბატონებო.

რა უნდა მოხდეს იმისათვის, რომ ეს ყოველივე ავირიდოთ თავიდან? უნდა მოხდეს პარლამენტის კონსოლიდაცია პრეზიდენტის გარშემო. უნდა მოხდეს პრეზიდენტისა და პარლამენტის მოქმედებათა ჰარმონიზირება. მე არ ვგულისხმობ დიქტატს. მე არავითარი დიქტატი არ მსურს, მაგრამ ისეთი ელემენტარული საკითხები, როგორიც არის წესრიგის აღდგენა, ამ მიმდინარე მოვლენებისათვის პუტჩისა და შეიარაღებული ამბოხების კვალიფიკაციის მიცემა, ამაში ჩვენ ერთნი უნდა ვიყოთ. საპარლამენტო ოპოზიციამ ჩვენ ამაში მხარი უნდა დაგვიჭიროს, თუ მას არ სურს, რომ იგი გამოჩნდეს როგორც მოკავშირე პუტჩისტებისა და როგორც მათთან ერთად საქართველოს დამღუპველი და დამაქცევარი. აი, ეს უნდა გავაკეთოთ ჩვენ, მეგობრებო. კი ბატონო, პარლამენტურმა ოპოზიციამ გვაკრიტიკოს რამდენიც უნდა, მე პირადად მაკრიტიკოს. მე, თუ ატყობთ, ძალიან დიდი დაფიქრებით ვუსმენ ხშირად მათ კრიტიკულ შენიშვნებს და ბევრ რამეს ვითვალისწინებ. მაგრამ აი, ამაში ჩვენ უნდა ვიყოთ ერთნი, საქართველოს ხსნაში, წესრიგის აღდგენაში და სამოქალაქო მშვიდობის დამყარებაში, თუ ჩვენ ამაში არ შევერთდით, ამ პარლამენტის არსებობას არავითარი აზრი არა აქვს. მაშინ მე პირდაპირ და პირუთვნელად მოგახსენებთ, იძულებული გავხდები დავითხოვო ეს პარლამენტი და თვითონაც გადავდგე. თუ თქვენ მე არ ამომიდგებით მხარში, რომ საქართველოში დავამყარო წესრიგი, რომ ვიხსნათ საქართველო ამ საშინელი ანარქიისაგან და თბილისი პირველ რიგში, მაშინ სჯობია ჩვენ დავთმოთ ასპარეზი და არ ვიცი მე, თავის შველა იქნება ეს, თუ თავის დაღუპვა, მაგრამ ფაქტია, რომ არ ექნება არავითარი აზრი არც პარლამენტის არსებობას და არც ასეთი პრეზიდენტის არსებობას, რომლის არავითარი ძალაუფლება ქვეყანაში არ არსებობს და სადაც დათარეშობენ შეიარაღებული ბანდები, სჩადიან ათასგვარ დანაშაულს და სახელმწიფოს არა აქვს არავითარი საშუალება და არავითარი უფლება, რომ მათ პასუხი მოსთხოვოს. ასეთ ქვეყანას არც პრეზიდენტი სჭირდება, არც პარლამენტი სჭირდება და არც ხელისუფლება სჭირდება. გესმით? აი, ასე დგას საკითხი, მეგობრებო და მოდით, ნუ მივიყვანთ ყველაფერს ამ ზომამდე. ახლა აქ იყო საუბარი ამას წინათ: დავთმოთ საფრანგეთის მოდელი და გადავიდეთ გერმანიის მოდელზე. კი, მაგრამ მეგობრებო, თქვენ განა არ იცით, რომ პოლიტიკური წყობილება, მმართველობის სტრუქტურა ეროვნული ხასიათის ეთნოფსიქოლოგიის გაუთვალისწინებლად არ ყალიბდება ამა თუ იმ ქვეყანაში? რატომ ჩამოყალიბდა საფრანგეთში ის სტრუქტურა მმართველობისა და რატომ ჩამოყალიბდა გერმანიაში სხვაგვარად, არ ითვალისწინებთ ამას? გერმანიისდარი ერი ვართ ჩვენ? რომელთან უფრო ახლო ვართ ჩვენ ჩვენი ტემპერამენტით, ჩვენი ანარქიულობით, ჩვენი ექსპანსიურობით, ჩვენი კანონებისადმი უპატივცემულობით. გერმანიასთან უფრო ახლო ვართ, თუ საფრანგეთთან და იტალიასთან? რომელთან უფრო ახლო ვართ, რამ მოიტანა საფრანგეთში ეს მმართველობა, იცით? - ეროვნულმა ხასიათმა და იმ მოვლენებმა, რასაც ჰქონდა ადგილი საფრანგეთში. მე არავის არ ვედრები და არც დე გოლთან გატოლების პრეტენზია მაქვს, მაგრამ შეგახსენებთ ისტორიას: როდესაც მსოფლიო ომის შემდეგ დე გოლი გახდა საფრანგეთის მთავრობის ხელმძღვანელი, მას ზუსტად ისეთივე ამბები მოუწყეს, რასაც დღეს მე მიწყობენ. კომუნისტებმა და სოციალისტებმა აიძულეს გადადგომა. დე გოლი გადადგა 1946 წელს და საფრანგეთი გახდა არნახული ანარქიის მსხვერპლი. ყოველ ორ-სამ თვეში იცვლებოდა მთავრობა და შემდეგ, უკვე ეროვნულმა დამფუძნებელმა კრებამ, 1958 წელს მოიწვია ის ისევ და შეაქმნევინა ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება, რომლის გარეშეც საფრანგეთი დაიღუპებოდა, ვინაიდან მისი ეროვნული თვისებები, სხვათაშორის, ძალიან ჰგავს ჩვენსას, აი, ამ ანარქიისაკენ მიდრეკილებებით. ხოლო რაც შეეხება გერმანიას, ბატონებო, გერმანიას აქვს უდიდესი ტრადიციები სახელმწიფო დისციპლინისა, აი, სწორედ სახელმწიფოებრივი წესრიგის და კანონების პატივისცემისა და საერთოდ ამიტომ არის გერმანულ და სკანდინავიურ ქვეყნებში პარლამენტური ხელისუფლება, მეგობრებო, და არა იმიტომ, რომ ის უფრო კარგია, ვიდრე ეს. ეს ეროვნულ ხასიათს ესადაგება და ეთნოფსიქოლოგიას. წარმოუდგენელია, მაგალითად, გერმანიისათვის ისეთი პრეზიდენტი, როგორიც იყო მაგ. დე გოლი ან მიტერანი და როდესაც გერმანიას მოახვიეს მისთვის უცხო ავტორიტარულ-დიქტატორული ჰიტლერის მმართველობა, ამან დაღუპა გერმანია. ე.ი. ეროვნულ ხასიათს უნდა მიესადაგოს წყობილება, იმ ისტორიულ კანონზომიერებას და ისტორიულ თავისებურებებს უნდა მიესადაგოს სახელმწიფო მმართველობა და ჩვენი სურვილით რომ უკუვაგდოთ ფრანგული მოდელი და გადავიდეთ გერმანულ მოდელზე, აი, ეს დაღუპავს საქართველოს. ასეთი მოდელი შეიძლება მხოლოდ უაღრესად კონსოლიდირებული ერის შემთხვევაში, როგორიც არის, მაგალითად, ისრაელი, რომელსაც ვერასოდეს ჩვენ ვერ შევედრებით კონსოლიდაციაში და ერთობაში და როგორიც არის გერმანია, აი, იქ შეიძლება პარლამენტური რესპუბლიკა და ჩვენთან პარლამენტური რესპუბლიკა ეს არის დაღუპვა ერისა და დაღუპვა პარლამენტისაც, აი, ეს დაიმახსოვრეთ. ხოლო საპრეზიდენტო ხელისუფლება არის ერთადერთი ხსნა ჩვენი ერისა. უნდა იყოს ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება. გახსოვდეთ, ამის გარეშე საქართველოს ხსნა არ არსებობს. ამის გარეშე იქნება ყველაფერი ის, რაც მე თქვენ წეღან მოგახსენეთ.

ის დეპუტატები, რომლებიც გვისაყვედურებდნენ ჩვენ, მე პირადად, პრეზიდიუმს, რატომ არ შეაფასეთ მოსკოვის პუტჩი, რატომ არ გააკეთეთ კატეგორიული განცხადება, რომ ეს არის პუტჩი, რატომ არ მიეცით კვალიფიკაცია ამ მოვლენებს... რატომ არიან დღეს ასე გაჩუმებულნი საქართველოს პუტჩზე? რატომ არაფერს არ ბრძანებენ? ან იქნებ მოსწონთ საქართველოში პუტჩი? მათ არ მოსწონდათ მოსკოვის პუტჩი, რატომ არაფერს ბრძანებენ საქართველოს პუტჩზე? აი, ეს იწვევს გაოცებას. ჩემი აზრით კი ერთადერთი გამოსავალი აქვთ მათ, დაგვიჭირონ აქტიურად მხარი ამ მოვლენების შეფასებაში და ამით ისინი თავისი თავის რეაბილიტაციასაც მოახდენენ, ბატონებო, ვინაიდან, მოგეხსენებათ, საკმაოდ მოზრდილი ნაწილი ქართველი ერისა ამბობს, რომ ისინი თავად არიან პუტჩის მონაწილენიც და ლიდერებიცო და რატომ უნდა ითქვას თქვენზე ასეთი რამ, ბატონებო. მოდით, აი, გეძლევათ შესანიშნავი შესაძლებლობა, გამოთქვათ ერთიანი პოზიცია პუტჩთან დაკავშირებით; სახელმწიფო გადატრიალების მცდელობები დავგმოთ და ვისაუბროთ კონსტრუქციულ ოპოზიციაზე.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა მკითხეს მე: კი მაგრამ, როგორ მოხდა, რომ ოპოზიცია მივიდა აი, ამ შეიარაღებულ ფორმირებებთან, მათთან ერთად გიპირისპირდებათ. ინგლისის პარლამენტში ოპოზიცია თანამშრომლობს მმართველ პარტიასთან და ისინი ერთად იღვწიან ერის უკეთესი მომავლისათვისო. მე ვუთხარი - სამწუხაროდ იმიტომ, რომ ჯერ ნამდვილი დემოკრატია ჩვენში არ არის. დიახ, არ არის ნამდვილი დემოკრატია. ნამდვილი დემოკრატია არის სწორედ აი, ეს ერთობა ხელისუფლებისა და ოპოზიციისა და ჰარმონიული მოქმედება. კი ბატონო, კრიტიკა, კი ბატონო, მწვავე შეფასებები, მაგრამ არა იარაღით ხელში ბრძოლა. აი, ეს დავძლიოთ და მაშინ ჩვენ ჩვენს პარლამენტს გადავარჩენთ, ჩემო ბატონებო, გადავარჩენთ ჩვენს პარლამენტსაც, გადავარჩენთ ჩვენს საქართველოსაც, რამეთუ სხვა გამოსავალი ჩვენ არ გაგვაჩნია.

მე არ მინდა ეხლა ბევრი დრო მოვიცვისო, კიდევ ბევრს ვიტყოდი მე ამასთან დაკავშირებით. ალბათ, ვიტყვი კიდევ. მაგრამ აი, ვიმეორებ, ძალიან ბევრი კარგი პიროვნება იყო მართალია, ამ კომუნისტებს შორის, მაგრამ იმათ ჩვენ დავიბრუნებთ. ხოლო ზოგიერთი პიროვნება ნამდვილად არ არის დასაბრუნებელი პარლამენტში, მათ შორის ზოგიერთი.

ასე რომ, დღეს პარლამენტი უფრო ნამდვილ სახეს იღებს. სხვათა შორის, რაოდენობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მოგეხსენებათ, ჩვენი ომი იყო რაოდენობაზე პირველად კომუნისტებთან, ახლა, რადგან რაოდენობრივადაც კომპაქტურია, ახლა დაიწყოს კონსტრუქციული ურთიერთობა ჩვენსა და ოპოზიციას შორის, საერთო ენის გამონახვა, ურთიერთის აზრის პატივისცემა, მე არა ვარ წინააღმდეგი უმწვავესი დებატებისაც, ოღონდ ყველაფერი ეს იყოს ეთიკის ფარგლებში, იყოს კონსტრუქციულობის ფარგლებში. და აი, ამ გზით, მოდით, დღეს მივცეთ სათანადო შეფასება ყველაფერს, გამოვიტანოთ სათანადო დადგენილებები და აღვადგინოთ საქართველოში სამოქალაქო მშვიდობა და წესრიგი.

აი, ეს არის ჩემი წინადადება დღეს.

პრეზიდენტის კურსი დამღუპველია, ეს არის ციხეები, დიქტატურა, სალი აზრის ჩაქოლვა, მონური ფსიქოლოგიისა და შიშის ატმოსფეროს დამკვიდრება, ორ ნაწილად გაყოფილი საქართველო, ძმათა სისხლი და ტერორი. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ ამას არ შევურიგდებით, დაე, მომავალმა განსაჯოს, ჩვენ უფრო მართლები ვართ თუ ისინი, ბატონ ზვიად გამსახურდიას, ბელადს, მესიას, ქრისტეს, მოსეს, წმინდა გიორგის რომ ეძახიან, საქართველოსთან რომ აიგივებენ. ქართველი ერი მრავალსაუკუნოვანი და დიდი ცივილიზაციის მქონე ერია, მას არ ჭირდება ბელადი, ჩვენ ტომი არ ვართ, ჩვენ ვითხოვთ დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას საქართველოში, ვებრძვით ავტორიტარიზმს, დიქტატურას, კერპთაყვანისმცემლობას.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ბელადის უნაყოფო ძებნის ტყვეობიდან გამოვა ყველა, ვინც ჯერ კიდევ ამ აზრზეა, და მთელი საქართველო, ქართველი და არაქართველი სიძლიერეს დაინახავს არა ბელადში, არა ძლიერ ხელში, რა დიქტატორში, არამედ სწორედ დემოკრატიაში, თავისუფალი აზროვნების ატმოსფეროს დამკვიდრებაში, მრავალპარტიულობაში, კონსტრუქციულ ოპოზიციაში, ფილოსოფოსთა, ეკონომისტთა, იურისტთა, ფსიქოლოგთა, სოციოლოგთა, პოლიტოლოგთა, საერთოდ სალი აზრის მქონე ნებისმიერი პროფესიისა და განათლების ადამიანთა ურთიერთობასა და დიალოგში.

ეს იქნება დიდი და ნამდვილი დემოკრატიის დასაწყისი საქართველოში.

თანამემამულენო! დებო და ძმებო!

ჩვენ კარგად გვესმის, რომ შესაძლოა ბევრმა თქვენგანმა არ გაიზიაროს ჩვენი პოზიცია, აგრესიულად განეწყოს ჩვენდამი, ისიც ვიცით, ხელისუფლება, პრეზიდენტი და მისი პრესსამსახური როგორ უარყოფენ ჩვენს ყველა ფაქტს, წინადადებასა და მოსაზრებას, მაგრამ სიმართლე ერთია. ჩვენ მომავლის იმედი გვაქვს, არ გვეშინია დღევანდელი დარტყმის, ლანძღვა-გინების. ხელისუფლება ავანტიურაზე წავიდა: ზამთრისათვის მზადების, ხალხის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის, თავის ცუდი პოლიტიკის შედეგსაც კი ოპოზიციას აბრალებს, საკუთარ თავს იცავს და ხალხის უკმაყოფილებას ჩვენსკენ მიმართავს. ჩვენ, როგორც ხელისუფლების ნაწილი, არ ვიხსნით გარკვეულ პასუხისმგებლობას, ყველაფერი ეს გაცნობიერებული გვაქვს და ამ ნაბიჯზე მივდივართ შეგნებულად, რადგან გვწამს ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის გონიერების, გვწამს და გვჯერა, რომ მომავალი თაობა, ახალგაზრდობა შეაფასებს ჩვენს ნაბიჯს. ამ ნაბიჯის გადადგმის ძალა გარკვეულწილად ჩვენ მოგვცა თბილისელთა დიდმა მხარდაჭერამ, რომელსაც ამ დღეებში ვიღებთ. უკვე ათი დღეა ჟურნალისტებთან ერთად ღამეს ათევს 3-4 ათასი მოქალაქე. ეს არის დემოკრატიული მოძრაობის დიდი გამარჯვება, იმის იმედი, რომ გასაჭირში მარტონი არ დავრჩებით.

**საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები:**

ნ. ნათაძე, ე. შენგელაია, ა. იმნაძე, თ. პაატაშვილი, გ. ჩორგოლაშვილი, გ. კობერიძე, მ. ურიდია, მ. კვაჩაძე, მ. კვანჭილაშვილი, თ. დიხამინჯია, ი. მელაშვილი, რ. ღონღაძე, ვ. ადამია, ა. მაჭავარიანი, დ. კუპრეიშვილი, ა. საკანდელიძე, გ. ხავთასი, ნ. ზუიადაძე, თ. ობგაძე, გ. ურიათმყოფელი, ნ. კვაჭაძე, ზ. კანდელაკი, მ. დეველიშვილი, ა. სიჭინავა, ნ. ლეკიშვილი, პ. კოღუაშვილი, დ. ბერძენიშვილი, დ. არევაძე, რ. გოცირიძე, ა. ბობოხიძე, თ. დიასამიძე, გ. ჯამი, რ. კემულარია, ე. ყაველაშვილი, გ. სუბელიანი, მ. ხუციშვილი, ჯ. საჯაია, ზ. გიგოლაშვილი, ბ. ლობჟანიძე, ნ. ჯავახიშვილი, თ. მამიაშვილი, თ. ნინიძე, ა. მარგიანი, რ. მემარნიშვილი, რ. ლორთქიფანიძე, ზ. დვენოზაშვილი, ვ. მარიქაძე, გ. ფაცაცია, ს. კავსაძე, გ. მარგიანი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*28 სექტემბერი, 1991 წელი.*

1991 წლის დეკემბრის მოვლენების შემდეგ, რომელმაც გამოიწვია ქვეყნის სახელმწიფოებრიობის შთანთქმა, ტერიტორიების დაკარგვა, ერის ფიზიკური განადგურების საშიშროება, ქართველ ხალხს კიდევ ელოდა უმძიმესი განსაცდელი.

1993 წლის 31 დეკემბერს საქართველომ დაკარგა პრეზიდენტი - ერთადერთი მოამაგე და ჭირისუფალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნამდვილი საქართველო მხარს უჭერს ჩეჩნეთს!

ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს გროზნოდან:

13 დეკემბერს გაიმართა ჩეჩნების საყოველთაო კონგრესი, რომელმაც ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევს გაუგრძელა საპრეზიდენტო უფლებამოსილება 1993 წლის 16 ნოემბრამდე.

14 დეკემბერს ტელევიზიით გამოსვლისას ჯოხარ დუდაევმა განაცხადა, რომ სიკვდილამდე იბრძოლებს დამპყრობლების წინააღმდეგ.

ამასობაში გრძელდება რუსეთის საოკუპაციო ჯარების აგრესია ჩეჩნეთის წინააღმდეგ. 15 დეკემბერს ჩეჩნებმა გაანადგურეს რუსეთის შეიარაღებული ძალების 30 ტანკი, წაართვეს 6 ტანკი და 2 საბრძოლო მანქანა. თერგზე გავლისას, სოფ. პერვომაისკოესთან რუსეთის 50 ტანკი შევიდა დამშრალ წყალსაცავში. ადგილობრივმა მოსახლეობამ გახსნა წყალსაცავის შლუზები და ჩაძირა ეს ტანკები. საჰაერო თავდასხმების შედეგად ჩამოგდებულია რუსეთის ათამდე სამხედრო ვერტმფრენი, ერთი თვითმფრინავი, ტყვედაა აყვანილი ოცამდე რუსი სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის ოფიცრები. მოკლულია რამდენიმე ასეული რუსი სამხედრო. რუსეთის სამხედრო - საჰაერო ძალებმა დაბომბეს ხანკალას აეროპორტი.

15 დეკემბერს ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ რუსეთის ინტერვენცია ჩეჩნეთში არ შეძგა. მან გააცნო ჟურნალისტებს ჩეჩნეთის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომელშიც დადებითად ფასდება რუსეთთან მოლაპარაკების წარმოების შესაძლებლობა. ამასთან ჩეჩნეთის მთავრობა აუცილებლად მიიჩნევს საბრძოლო მოქმედების შეწყვეტას, ჩეჩნეთის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარის გაყვანას და დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დაწყებას უმაღლეს დონეზე.

გროზნოში გამართულ მიტინგზე და ჩეჩნეთის ტელევიზიით წაკითხულ იქნა საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციათა მიმართვა, რომელსაც ხელს აწერენ - ჰელსინკის კავშირი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობა, გეორგიანული მოძრაობა, ნაციონალ-კონსერვატიული პარტია, პატრიოტთა ლიგა, საუნივერსიტეტო საზოგადოება.

ცნობილი გახდა, რომ შევარდნაძემ, რუსეთთან შეთანხმებით, გადაკეტა მთიანი გადასასვლელები ჩეჩნეთისაკენ, რათა საქართველოდან დააბრკოლოს მოხალისეთა გადასვლა ჩეჩენი ხალხის მხარდასაჭერად. მიტინგზე ითქვა, რომ ქართველი ხალხისათვის თავს მოხვეული შევარდნაძის რეჟიმის ქმედებიდან გამომდინარე, მიღებულ იქნება ზომები ფართომასშტაბიანი ომის შემთხვევაში საქართველოდან მოხალისეთა გადმოსაყვანად. ჯოხარ დუდაევმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ნამდვილი საქართველო მხარს უჭერს ჩეჩენი ხალხის ბრძოლას.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა დაგმეს რუსეთის ინტერვენცია ჩეჩნეთში. ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში იმართება ჩეჩნეთის მხარდასაჭერი მიტინგები. ელცინისა და რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდის თავად ჩეჩნეთში მცხოვრები რუსი მოსახლეობა. ვითარება დაიძაბა მთლიანად კავკასიაში. აზერბაიჯანისა და დაღესტნის ტერიტორიაზე ადგილი აქვს შეიარაღებულ კონფლიქტებს რუსებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ჩეჩნების მხარდამხარ საბრძოლველად ჩამოვიდა 50 უკრაინელი მოხალისე ცნობილი მეომრის საშკო ბილის მეთაურობით. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის აშკარა ინტერვენციის შედეგად, ოპოზიციის ნაწილმაც ჯოხარ დუდაევის მხარე დაიჭირა, კერძოდ, რუსლან ლაბაზანოვმა, რომელმაც რუსების ერთი ვერტმფრენი ჩამოაგდო.

საჰერო დაბომბვის დროს დაიღუპა ინგუშეთის ჯანმრთელობის მინისტრი.

## აგრესია რუსეთის საელჩოს მხრიდან

19 დეკემბერს დავით აღმაშენებლის გამზირზე, რუსეთის საელჩოს წინ მოეწყო მშვიდობიანი საპროტესტო პიკეტი, რომლის ინიციატორები იყვნენ - საქართველოს ჰელსინკის კავშირი, გეორგიანული მოძრაობა, ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობა, პატრიოტთა ლიგა, საუნივერსიტეტო და ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებები.

პიკეტის მონაწილეებმა პროტესტი გამოთქვეს რუსეთის ხელისუფლების ძალისმიერი პოლიტიკის, რუსეთის შეიარაღებული ძალების ჩეჩნეთზე აგრესიის გამო და მოითხოვეს დამოუკიდებელ ჩეჩნეთში ინტერვენციის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, რუსეთის ჯარების გაყვანა მთლიანად კავკასიიდან. მოპიკეტეთა დელეგაციამ მოითხოვა შეხვედრა საელჩოს წარმომადგენლებთან, რათა გადაეცათ მათთვის რუსეთის პრეზიდენტისადმი მიმართული საპროტესტო განცხადება. საელჩოს შენობის დაცვამ პასუხის გაცემამდე მოცდა ითხოვა. რამდენიმე წუთის შემდეგ შენობიდან გამოვარდნენ ავტომატით შეიარაღებული დაცვის წევრები და დაერივნენ მოპიკეტეებს. ამასობაში მათ შემოუერთდა ჩუღურეთის რაიონის პოლიციის განყოფილების მუშაკთა ჯგუფი და გაიმართა მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა ჩვეული რბევა.

სასტიკად იქნა ნაცემი რამდენიმე ათეული მოქალაქე. პოლიცია დაემუქრა უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების კორესპონდენტებსაც, რომლებმაც ახლომახლო სადარბაზოებსა და ეზოებს შეაფარეს თავი. პოლიციამ სასტიკად სცემა და შემდეგ დააპატიმრა ორი სტუდენტი - ირაკლი ფაჩულია და რევაზ კაკულია, რომლებიც მიიყვანეს ჯერ ჩუღურეთის განყოფილებაში, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს ქალაქის პოლიციის სამმართველოს წინასწარი პატიმრობის იზოლატორში.

როგორც ვხედავთ, რუსეთის აგრესიული პოლიტიკა მისი საელჩოს თანამშრომლების მხრიდანაც კი ვლინდება. საელჩოს დაცვის მონაწილეობა მშვიდობიანი პიკეტის დარბევაში საერთაშორისო ნორმების უხეშ დარღვევას წარმოადგენს, მაგრამ იმპერიის სამსახურები ტრადიციისამებრ არად აგდებენ არც კანონს, არც ეთიკურ ნორმებს.

## ჩეჩნეთის რესპუბლიკა - იჩქერიას პრეზიდენტს, მის აღმატებულებას, ბატონ ჯოხარ დუდაევს

სრულიად საქართველოს წმინდა გიორგის მოძრაობა, იბერიულ-კავკასიური მოძრაობა, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, საქართველოს პატრიოტთა ლიგა, საქართველოს ნაციონალ-კონსერვატიული პარტია, და საუნივერსიტეტო საზოგადოება მხურვალედ უჭერს მხარს ჩეჩენი ხალხის გმირულ ბრძოლას იმპერიის წინააღმდეგ.

გთხოვთ, გადასცეთ ჩვენი ღრმა თანაგრძნობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ რაინდთა ოჯახებს.

დღევანდელ დღეს ქართველი ხალხი აწარმოებს უმძიმეს ბრძოლას თავისი ქვეყნისა და მთელი კავკასიის ხელახალი ანექსიისა და ოკუპაციის წინააღმდეგ.

დარწმუნებული ვართ, რომ კავკასიის ხალხთა ერთობლივი ბრძოლა გაიმარჯვებს ბოროტებაზე და თავისუფლებისმოყვარე კავკასიელი ხალხი მოიპოვებს დიდი ხნის ნანატრ დამოუკიდებლობას.

სრულიად საქართველოს წმინდა გიორგის მოძრაობის სახელით, უზენაესი საბჭოს წევრი - იოსებ ბარათაშვილი

იბერიულ-კავკასიური მოძრაობის სახელით - მერაბ ჩუხუა

საქართველოს ჰელსინკის კავშირის სახელით - ჟურმან მზარელუა

საქართველოს პატრიოტთა ლიგის სახელით - გიგა ზაალიშვილი

საქართველოს ნაციონალურ-კონსერვატიული პარტიის სახელით, უზენაესი საბჭოს წევრი - ბეჟან ჯავახია

საუნივერსიტეტო საზოგადოების სახელით - ნონა დოჭვირი

### ავლანეთი სამოთხედ მოგეჩვენებათ

...აფრთხილებენ საზოგადოებას "ობშჩაია გაზეტას" ფურცლებიდან გროზნოზე ე.წ. ოპოზიციის ლაშქრობაში მონაწილე, ჩეჩნების ტყვეობაში მყოფი და შემდეგ დუდაევის მიერ განთავისუფლებული რუსი ტანკისტები. ისინი ყვებიან, როგორ დაიქირავა კონტრდაზვერვის ფედერალურმა სამსახურმა, გაამგზავრა ჩეჩნეთში, შემდეგ როგორ აღმოჩნდნენ ტყვეობაში და როდესაც ტელევიზიით მოისმინეს გრაჩოვის გამოსვლა, მიხვდნენ, რომ რუსეთმა მათზე უარი განაცხადა. რუსეთის დუმის დეპუტატის ელა პანფილოვას მონაყოლი განამტკიცებს ეჭვს, რომ რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა თავად არის დაინტერესებული რუსი ტყვეების ლიკვიდაციით. მისი თქმით, ავიაციამ რამდენჯერმე დაბომბა სწორედ ის ადგილები, სადაც რუსი სამხედრო ტყვეები გადაჰყავდათ ხოლმე და მხოლოდ თავად ჩეჩნების ზრუნვის შედეგად გახდა შესაძლებელი მათი გადარჩენა. დუდაევის მიერ განთავისუფლებული ტანკისტები კი ასეთ დასკვნას აკეთებენ: ჩეჩნეთის არმია ძალიან კარგადაა შეიარაღებული; სანამ ცოცხალი დარჩება თუნდაც ერთი ჩეჩენი მამაკაცი, ის მაინც იბრძოლებს და მას მთელი კავკასია დაეხმარება.

წამყვანი რუსი პოლიტოლოგები ჯარისკაცების მონაყოლის განზოგადებისა და შეჯამების საფუძველზე ჩეჩნეთში შეჭრას განიხილავენ როგორც "ბორის ელცინის ვილნიუსს" და აქედან გამომდინარე, მიუთითებენ რუსეთის პოლიტიკის საერთო გორბაჩოვიზაციაზე. გორბაჩოვის ხელისუფლების კრიზისს მოჰყვა სსრკ-ს დაშლა, ომი ჩეჩნეთში-ესაა ელცინის ხელისუფლების კრიზისი, რომელსაც ლოგიკურად უნდა, მოჰყვეს რუსეთის დაშლა, მიაჩნიათ მოსკოველ პოლიტოლოგებს.

***

ომის დაწყების მეათე დღეს გროზნოს მისადგომებთან გამაგრებული რუსეთის ჯარები გამოყრილ იქნენ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას ეროვნული არმიისა და სახალხო ლაშქრის მიერ. რუსები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ.

რუსეთის სარდლობის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ მათი ჯარების ზურგში ჩეჩნეთსა და ინგუშეთში მოქმედებენ პატარა, კარგად მომზადებული, მობილური რაზმები, რომლებიც განუწყვეტლივ თავს ესხმიან რუსეთის ნაწილებს, ობიექტებს, მათი არმიის კომუნიკაციებს. მიმდინარეობს მოწინავე ნაწილების ზურგის დეზორგანიზება დივერსიების, აფეთქებების და რუსი ოფიცრების სნაიპერული გასროლით მოკვლის გზით.

***

20 დეკემბერს იჩქერიის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს მოწოდებით, აღკვეთონ რუსეთის აგრესია.

იმავე დღის მეორე ნახევარში ეუთო-ს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩეჩნეთის კრიზისთან დაკავშირებით საგანგებო სხდომის მოწვევის თაობაზე, რასაც მოჰყვა ეუთო-ში რუსეთის წარმომადგენლის, ლავროვის ოფიციალური პროტესტი. ლავროვის თქმით, ჩეჩნეთის პრობლემა რუსეთის საშინაო საქმეა და საერთაშორისო თანამეგობრობას ეს საკითხი არ ეხება.

### ქრისტიანები და მუსლიმანები ჩეჩნეთის დასაცავად

რუსეთის ჯარების ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიაში შეჭრას გამოეხმაურენ ესტონეთისა და ლატვიის პარლამენტები და მთავრობები. მათი ოფიციალური შეფასებით, ადგილი აქვს რუსეთის აშკარა აგრესიას ჩეჩნეთის რესპუბლიკის მიმართ. ამდენად, ისინი მოუწოდებენ საერთაშორისო საზოგადოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ყოველი ძალა იხმარონ რუსეთის ინტერვენციის შესაჩერებლად და სასწრაფოდ აღიარონ ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

***

მუსლიმანური სამყაროს ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერი მუამარ კადაფი გამოვიდა რუსეთის პრეზიდენტისა და მთავრობისადმი განცხადებით, რომელშიც გამოხატულია მუსლიმანური სამყაროს შეშფოთება და აღშფოთება ჩეჩნეთის მიმართ რუსეთის ხელისუფლების აგრესიულ ქმედებათა გამო. ფაქტია, რომ რუსეთი აწარმოებს ერთმორწმუნე მუსლიმანი ჩეჩნების განადგურებას და თუკი რუსეთის ხელისუფლება არ იტყვის უარს ძალისმიერ მეთოდებზე, არ შეუდგება მშვიდობიან მოლაპარაკებებს, ამას შეიძლება მუსლიმანური სამყაროს მხრიდან მოჰყვეს რუსეთისათვის მეტად არასასურველი შედეგები.

### მთიელთა კონფედერაცია რუსების წინააღმდეგ

მთიელ ხალხთა კონფედერაციის პარლამენტმა ჩრდილოეთ კავკასიაში დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალები გამოაცხადა საოკუპაციო ჯარად. კონფედერაცია წყვეტს ურთიერთობას რუსეთის ფედერაციასთან და ბათილად ცნობს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების რუსეთთან დამაკავშირებელ ყველა ხელშეკრულებას. კონფედერაციის პარლამენტმა განაცხადა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყების თაობაზე მათი ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებიდან სრულ განდევნამდე. ამ მიზნით გამოცხადებულია კავკასიის მთიელ ხალხთა მობილიზაცია, მათი შესაბამის პუნქტებში შეკრება და საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბება.

### "მე თქვენი ვარ" - ეუბნება არძინბა რუსებს

22 დეკემბერს რუსეთის დუმის ფედერაციის საბჭოს თავჯდომარემ, შუმეიკომ განაცხადა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულია სამხედრო ბაზები, რომლებშიც ამზადებენ მებრძოლებს ჩეჩნეთში გასაგზავნად. ამდენად, აფხაზეთმა ჯეროვნად ვერ დააფასა რუსეთის მიერ მისთვის გაწეული დახმარება და საჭიროა იქიდან რუსეთის ჯარების სასწრაფოდ გამოყვანა.

მეორე დღესვე არძინბამ მისწერა მოსკოვს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ამგვარი ბაზები არ არის და აფხაზეთის ხელისუფლება არავის აგზავნის ჩეჩნეთში. მეტიც, მან მოუწოდა საინფორმაციო საშუალებებსა და აფხაზეთის ტელევიზიას თავი შეიკავონ რუსეთის პოლიტიკის კრიტიკისაგან.

არძინბას სიტყვებს ადასტურებს აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლობა, როგორც ჩანს იმის შიშით, რომ აფხაზეთიდან გაყვანის შემთხვევაში, მათ ჩეჩნეთში გადაისვრიან.

***

23 დეკემბერს რუსეთის ავიაციის მიერ ჩეჩნეთის დედაქალაქის დაბომბვის შედეგად დაიღუპა ამერიკელი ფოტოჟურნალისტი ქალი, რომელიც ამზადებდა გროზნოსთან ბრძოლების ფოტოქრონიკას. მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა და ჟურნალისტებმა მოსთხოვეს პრეზიდენტ ელცინს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს გროზნოს საარტილერიო და საჰაერო დაბომბვა.

## რედაქტორის სვეტი

1991 წლის 22 დეკემბერს, დილის 5 საათზე რუსთაველის გამზირზე გაისმა სროლა. რომელმა მხარემ გაისროლა? - ეს კითხვა დღეს აღარ არის აქტუალური. ისროლა იმან, ვინც ერთი წლით ადრე პირველად გაისროლა რუსთაველზე, იმელთან (ამას მოჰყვა ცნობილი განხეთქილება ეროვნულ მოძრაობაში), ვინც ისროდა შარშან, შარშანწინ... ვინც ისვრის დღეს.

იმ დღიდან, ფაქტობრივად, საქართველოში სროლა არ წყდება.

ასე დაიწყო უნიკალური რევოლუცია კაცობრიობის ისტორიაში - პურის გაძვირების მოთხოვნით და ტანკებით დემოკრატიის დამკვიდრების მცდელობით.

3 წელიწადი გვაშორებს იმდროინდელ ვნებათაღელვას. პური გაძვირდა - ლამის მილიონი ღირს; დემოკრატია დამკვიდრდა - ყოველდღიურად ვიმკით მის სისხლიან ნაყოფს.

3 წელიწადი არც ისე პატარა დროა. მთელი მსოფლიოსგან იზოლირებული, ჩაბნელებული, გაყინული, კომუნიკაციებმოშლილი საქართველო გარინდებულია. უხმაუროდ იტანს ღამის რიგებს შევარდნაძის მიერ სულგრძელად ბოძებულ პურზე. იტანს უგზოობას, უშუქობას, უცხელწყლობას, უტრანსპორტობას.

წინ გრძელი ზამთარია.

გვაფრთხილებენ, რომ თუ წესიერად არ მოვიქცევით, იანვრიდან გაზი აღარ გვექნება.

ჩვენ მორჩილად ვისმენთ რიხიანი ტელეგადაცემებიდან ტყუილებს საქართველოში მიმდინარე სასიკეთო პროცესების შესახებ, რომელიც, თურმე, ძირითადად შინაპოლიტიკური სიტუაციის საგრძნობ სტაბილიზაციაში გამოიხატება.

დღეს საქართველოს სტაბილიზაცია სჭირდება, რათა პოლიტიკოსმა, რომელიც თავადაც ნიჭიერია, დიდი სახელიც აქვს, მეგობრების ფართო წრეც ჰყავს და საკუთრივ საქართველოშიც საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობს, მოახერხოს ის, რასაც ყველა ამ ღირსების გარეშე გაცილებით მეტი წარმატებითართმევდა თავს მისი უიღბლო წინამორბედი.

სამი წლის წინ ქართველი ხალხის მტერი იყო ყველა, ვინც ერთ ნაბიჯს მაინც გადადგამდა სტაბილიზაციისკენ. დღეს... დღეს ამ სიტყვების ავტორი ცოცხალი აღარ არის, სულ ცოტა ხნის წინ საკუთარი სახლის წინ ჩაცხრილეს. მისი ძალისხმევით შექმნილმა პროცესებმა შთანთქა მისი სიცოცხლე.

საცოდავია ერი, რომელიც ვერ ჭვრეტს თავის სარგებელს, ასგზის უფრო საცოდავია, როცა ჭვრეტს და მაინც ამ სარგებლის საწინააღმდეგოდ ირჯება.

კაცობრიობის ცნობიერებაში არსებობს სასჯელის მითოლოგიურად გაფორმებული კლასიკური სისტემა. ამ არქეტიპის თანახმად, ჯოჯოხეთი არის ადგილი, სადაც სიკვდილის შემდეგ განუწყვეტლივ გრძელდება მოქმედება, რომელსაც სიცოცხლეში ჰქონდა საწყისი.

ვერაზე, ფილარმონიის წინ, 1991 წლის 26 დეკემბერს თევზი იყიდებოდა. რუსთაველს ამ დროს ტანკები და ჰაუბიცები ანგრევდნენ. ადამიანები თევზის რიგში იდგნენ და უშფოთველად ელოდებოდნენ თავის ჯერს შეეძინათ ცოცხალი თევზი საახალწლოდ.

როცა ვინმე იწყებს წუწუნს დღევანდელ გაუსაძლის ვითარებაზე, ის რიგი მახსენდება. ჩვენ მაშინ მივუსაჯეთ ჩვენს თავს დღევანდელი შეჭირვება. ჩვენ მაშინ ავირჩიეთ ჩვენი ახლანდელი ცხოვრების ფორმა. მას შემდეგ, დაწყევლილებივით, იმავე წრეში ვტრიალებთ, ანუ ისევ რიგებში ვდგავართ და დასასრული არ უჩანს ამ საშინელ ყოფას.

არ შეიძლება ადამიანებს, რომლებიც იმ საზარელ დღეებში აუღელვებლად დააბიჯებდნენ ქუჩებში, არ სცოდნოდათ, რომ რუსთაველზე მიმდინარე ომი თავად მათი მშვიდობიანი, უშფოთველი ცხოვრების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომ ხელისუფლება, რომელიც პოლიტიკურ მოღვაწეობას რუსთაველის ნგრევით იწყებდა, კარგს არაფერს გააკეთებდა თავისი მოქალაქეებისათვის.

არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ, რომ განურჩევლად პოზიციისა, ყველა პატიოსანი ადამიანი უნდა აღდგომოდა წინ თავისი ერის მიერ არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ამ ბარბაროსულ აქტს, რადგან ერთხელ თუ დაუსჯელი დარჩა უკანონობა, მას აუცილებლად მოჰყვება სხვა უკანონობათა ჯაჭვი, რაც გარდუვალად გამოიწვევს სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლას, ხოლო ქვეყანაში, სადაც არ არსებობს სახელმწიფოებრივი ინტერესი, არც მოქალაქეობრივი ინტერესებია დაცული.

დანგრეულ სახლში ყველა ერთნაირადაა დაუცველი ავდრის, ან მძარცველისაგან - ის, ვინც სახლის დანგრევაში იღებდა მონაწილეობას და ისიც, ვისაც ხელი არ შეუშლია ამ უგუნურობისთვის.

ამაშია საქართველოს დღევანდელი გარინდების საიდუმლო. ნაწილს ხმა არ ამოეღება, რადგან თვითონვე, თავისი ნებით აირჩია ცხოვრების ეს პირობები, მეორე ნაწილმა კი, რომელსაც ძალით მოახვიეს თავს დღევანდელი რეალობა, იცის, რომ სანამ სახელმწიფოს სათავეში საკუთარ ხალხთან აშკარად დაპირისპირებული ძალები იქნება, საქართველოს სისხლი, ცრემლი, შიმშილი, გაჭირვება არ მოაკლდება და ცალკე პურის და გაზის გამო არ ღირს ხმაურის ატეხა.

ორივე მხარე გასაოცარი სიმტკიცით ვინარჩუნებთ ჩვენს status-gueo -ს. ერთ ქვეყანაში, გვერდიგვერდ ისე ვცხოვრობთ, თითქოს საუკუნეები ან ოკეანეები გვაშორებდეს ერთმანეთს.

იქნებ ღირდეს შეგვეხედა ერთმანეთისთვის თვალებში და გვეღიარებინა, რომ 1991 წლის დეკემბრის სროლებს პრეზიდენტზე გამარჯვება კი არ მოჰყვა, არამედ ყველას დამარცხება... თვით იმისაც კი, ვისაც სულ გუშინდლამდე თავი უტყუარად გამარჯვებული ეგონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯოჰარ დუდაევი: მე პირველი არ მივიტან იერიშს რუსეთზე

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი პრესკონფერენციას მართავს მთავრობის სასახლეში მთელი მსოფლიოდან თავმოყრილი მრავალრიცხოვანი ჟურნალისტებისათვის.

- ბატონო პრეზიდენტო, როგორ თვლით, რატომ არ დაბომბა ავიაციამ გროზნო ულტიმატუმის ვადის დამთავრებისთანავე?

- რუსეთის არმიაში დროთა განმავლობაში უფრო მცირდება ბრიყვი მონების რიცხვი, რომლებიც მზად არიან შეასრულონ ხელისუფალთა ნებისმიერი სურვილი.

- ჩეჩნეთის მთავრობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუკი რუსეთის თვითმფრინავები დაბომბავენ გროზნოს, უმალ დახვრეტილი იქნება რუსეთის ჯარების შემოჭრის შედეგად ტყვედ აყვანილი 20 რუსი ჯარისკაცი. რა შეგიძლიათ თქვათ ამის შესახებ?

- მე არც იურისტი ვარ და არც პროკურორი. მხოლოდ ერთს ვიტყვი, - ქველმოქმედებას ჩვენ აღარ ვაპირებთ. როდესაც უცხო ჯარები ბატონობენ ჩვენს ტერიტორიაზე, კლავენ ჩვენს მოქალაქეებს, - შურისგება გარდუვალია.

- როგორია თქვენი, როგორც მებრძოლი გენერლის პროგნოზი ჩეჩნეთში მოვლენათა განვითარების თაობაზე?

- არავითარ საბრძოლო მოქმედებებს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მე არ ვგეგმავ. მე პირველი არ მივიტან იერიშს რუსეთზე. როგორც მთავარსარდალსა და ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, რუსეთის ხელისუფალთა მოქმედების შესახებ არავითარი პროგნოზების გაკეთება არ შემიძლია. იმდენად განუჭვრეტელია რუსეთის ხელმძღვანელობა, იმდენად უმართავი მისივე პარლამენტის მიერ, რომ ყველაფერს შეიძლება მოელოდე მათგან. შესაძლოა იგივე სამხედრო ნაწილები, რომლებიც ამჟამად გროზნოსთან დგას, ხვალ მოსკოვზე წავიდნენ. რუსეთის ფედერაციის მაღალ ეშელონებში სრული არეულობაა - მარჯვენა ხელმა არ იცის, მარცხენა რასა იქმს. აი, გრაჩოვის დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ მისი, ანუ თავდაცვის მინისტრის პირადი ბრძანების გარეშე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯარების არავითარი გადაადგილება არ მოხდება. მიუხედავად ამისა, გრძელდება საავიაციო თავდასხმები დასახლებულ პუნქტებზე, ხოლო არმიის კოლონები ცდილობენ ჩეჩნეთის ტერიტორიის სიღრმეში შეღწევას და შეტაკება უხდებათ ჩეჩნეთის არმიისა და ლაშქრის ნაწილებთან.

თითქოსდა დაგეგმილია ვიცე-პრემიერ ეგოროვის ვიზიტი გროზნოში. მე თვითონ მას არ შევხვდები. ჩეჩენი ხალხის კონგრესმა ვეტო დაადო ჩემს მონაწილეობას მოლაპარაკებებში, თუ ეს არ იქნება მოლაპარაკებები უმაღლეს დონეზე. თუ ეგოროვი ჩამოვა, მასთან შეხვედრაზე ჩემს სრულუფლებიან წარმომადგენელს გავაგზავნი. მოლაპარაკების ობიექტი მხოლოდ ერთი საკითხი შეიძლება გახდეს - ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანა. რესპუბლიკის სტატუსის საკითხზე მსჯელობას გავმართავ მხოლოდ რუსეთის მთავრობის მეთაურთან, ჩერნომირდინთან. რაც შეეხება ელცინს, ჩეჩენი ხალხის კონგრესი არ მირჩევს მასთან შეხვედრას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ სწორედ იგია რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის ომის მთავარი დამნაშავე. აქ კი ყველაფერს ხალხი წყვეტს.

## რუსები ანადგურებენ ჩეჩნეთის მშვიდობიან მოსახლეობას.

რუსების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობისა და ლტოლვილების დახვრეტის შემთხვევებმა ჩეჩნეთში მასობრივი ხასიათი მიიღო. რუსეთის ჯარების ზურგში განლაგებული ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიებზე მიმდინარეობს პატრულირება რუსეთის შსს შინაგანი ჯარების მიერ. 14 ოქტომბერს ერთ-ერთი საპატრულო პოსტიდან ცეცხლი გაუხსნეს ინგუშეთისკენ მიმავალ ორ მსუბუქ მანქანას. ჯარისკაცებმა ცეცხლი გახსნეს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, შემდეგ ბეტეერებით რამდენჯერმე გადაუარეს მანქანებს, გასრისეს, გადმოათრიეს გვამები და გადამალეს მახლობელ ბუჩქებში. შედეგად დაიღუპა ინგუშეთში ნათესავებთან მიმავალი ცხრა ჩეჩენი ლტოლვილი, მათ შორის ბავშვები.

ამ ინციდენტთან დაკავშირებით სამხედრო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ, ისიც რუსეთის დუმის დეპუტატთა ჯგუფის დაწოლით. ამ ჯგუფის ხელმძღვანელის ელა პანფილოვას თქმით, საბრძოლო მოქმედებათა ზონის მიმდებარე ტერიტორიებზე საპატრულო პოსტებზე მყოფი ჯარისკაცები მეტწილად მთვრალები არიან. ეს ნიშნავს, რომ რუსეთის არმიაში ალკოჰოლიზმმა კლინიკურ დონეს მიაღწია, ან ჯარისკაცებსა და ოფიცრებს განზრახ ამარაგებენ სპირტიანი სასმელებით მათში ყოველგვარი ადამიანურობის მოსასპობად.

## ომი ჩეჩნეთში დღეს არ დაწყებულა

ეს არ წარმოადგენს რუსეთის ხელმძღვანელობის ხაზის მოულოდნელ შემობრუნებას - განაცხადა იური აფანასიევმა. - ესაა ლოგიკური გაგრძელება რუსეთის პრეზიდენტისა და მთავრობის მთელი იმ პოლიტიკური კურსისა, რომელიც დღემდე ტარდებოდა საქართველოში, აზერბაიჯანში, დნესტრისპირეთში, ტაჯიკეთში, ყველგან, სადაც განხორციელდა რუსეთის ჩარევა. ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ დღეს რუსეთის ხელისუფალნი პრეტენზიას აცხადებენ ძალადობის გამართლების აუცილებლობაზე, როგორც მათი პოლიტიკური პრაქტიკის ერთადერთ წარმმართველ პრინციპზე.

# კავკასიური

## ნაწილი პირველი

რუსეთის შეიარაღებული ძალები მიადგა უკანასკნელ დაუმორჩილებელ ბასტიონს კავკასიაში - ჩეჩნეთს. მიადგა ყოველი მხრიდან, მათ შორის საქართველოდან. ისტორია მეორდება და როგორც გასულ საუკუნეში "ლეკიანობით შეწუხებული" ბრიყვი, ფლიდი, ჩინ-მედლებს დახარბებული ქართველი თავადაზნაურობა - ჭავჭავაძეებისა და ორბელიანების მეთაურობით - ილაშქრებდა შამილის წინააღმდეგ, ასევე დღეს - საკუთარი ხალხის სისხლში მოცურავე სუკის გენერალი და ორდენოსანი ინტელიგენცია ჩეჩნეთის წინააღმდეგ მოუხმობენ რუსეთის ჯარებსა თუ თავიანთ კრიმინალურ ლეგიონებს, აფხაზეთის ავანტიურის შემდეგ სამარცხვინოდ დამარცხებული მთავარსარდალი ზრუნავს რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობაზე, ვითომდაც ეს საქართველოს მთლიანობის საწინდარი იყოს. მაგრამ დღეს უკვე მხოლოდ სამუდამოდ გონებადახშული არ ესმით, რომ ყოველივე ეს კეთდება, რათა დაამარცხონ ყველაზე მებრძოლი კავკასიელი ხალხი, რათა დაასამარონ კავკასიისა და, მაშასადამე, საქართველოს თავისუფლება, რათა კიდევ ერთხელ სისხლით დაუმოწმონ თავიანთი ერთგულება დამპყრობელს.

***

ლოგიკური იქნება "პერესტროიკული" წლების მანძილზე კავკასიაში მომხდარი მოვლენების შესახებ საუბარი დაგვეწყო თავიდან, როდესაც საბჭოთა ყინულოვან სტაბილურობაში აფეთქდა დენთის პირველი კასრი - ყარაბაღი, იმხანად მარაზმატიკულ ტოტალიტარიზმში მცონარობას ჩვეული ჩვენი ცნობიერება არამცთუ ვერ აანალიზებდა მომხდარს, არამედ ოფიციალურ ინფორმაციასაც ვერ უყრიდა თავს. ჩვენ ჯერ ისიც კი არ გვქონდა გააზრებული, რომ ამ სისხლიან კონფლიქტში მონაწილეობს არა ორი დაინტერესებული მხარე - აზერბაიჯანი და სომხეთი, - არამედ სამი, ოთხი და იქნებ მეტიც.

ეს იყო ჯაჭვის პირველი რგოლი. მაგრამ ჩვენ შეგნებულად ვტოვებთ ამ და ყველა შემდგომ ეპიზოდებს, ვუბრუნდებით ჯაჭვის ბოლოს და შევეცდებით, მომავლისკენაც გავიხედოთ.

დღეს შეიძლება დაეცეს ჩეჩნეთი. რას ნიშნავს ეს და რას მოგვიტანს ეს ხვალ?

***

"მაცნეს" კატეგორიებით მოაზროვნენი ეძლევიან ილუზიებს, რომ ეს დაგვიბრუნებს აფხაზეთს: ჩეჩნეთი ხომ თურმე ისეთივე "აგრესიული სეპარატიზმის" კერაა რუსეთისთვის, როგორიც აფხაზეთი საქართველოსთვის (სხვათა შორის, ასეთივე "აგრესიულ სეპარატიზმად" მიიჩნევდნენ პოლიტბიუროში დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ რესპუბლიკათა განმათავისუფლებელ მოძრაობას!)

აფხაზეთის პრობლემას ერთიან კავკასიურ კონტექსტში ჩვენ საფუძვლიანად შევეხებით მომდევნო ნაწილებში, ამჟამად კი მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ:

- განსხვავებით ბეცი ქართველი მეფეებისა და კრიმინალი ბოლშევიკებისაგან, ორი საუკუნის მანძილზე ჩეჩნეთში ვერ მოინახა ისეთი მტკიცე კოლაბორაციონისტული დაჯგუფება, რომელიც ხელს მოაწერდა რუსეთისადმი მორჩილების ხელშეკრულებას. ჩეჩნებმა და მით უფრო ინგუშებმა თვით შამილსაც არ შეუნდეს მისი კაპიტულაცია, ამ აქტს მის პირად გადაწყვეტილებად მიიჩნევენ და არა ხალხის ნებად. ამდენად, ჩეჩნეთი წმინდა სახის დაპყრობილი ქვეყანაა. მას ყოველთვის, ყოველ ისტორიულ ეტაპზე იპყრობდნენ, ასახლებდნენ, ანადგურებდნენ მთლიანად - კარგ და ცუდ ჩეჩენს ერთად, თანაბრად, განურჩევლად. ამის საპირისპიროდ, საქართველოს აფხაზეთი არასოდეს დაუპყრია... დღემდე. აფხაზეთის დაპყრობის ფაქტი პირველად დააფიქსირა ედუარდ შევარდნაძემ და მის "დიდ ავტორიტეტს" გამოდევნებულმა კოლაბორაციონისტულმა კასტამ. დააფიქსირა ფაქტობრივად და აღიარა იურიდიულად 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმებისას შედგენილ სოჭის ჩანაწერში. სამწუხაროდ, ვისაც დღემდე ვერ გაუგია, რომ ამ შეთანხმებების მონაწილენი - ელცინი, შევარდნაძე და არძინბა, სამივე ერთსა და იმავე მხარეს, რუსეთს წარმოადგენდნენ - ვერ იცნობიერებს იმასაც, რომ რუსეთი არ დაუბრუნებს საქართველოს აფხაზეთს, ვინაიდან მას ამას არავინ მოსთხოვს - საქართველოს ე.წ. ხელისუფლებას იურიდიული დოკუმენტების საფუძველზე უარი აქვს ნათქვამი აფხაზეთის სამთავროზე.

ამაში ახალი არაფერია. ახალია ე.წ. რუსი დემოკრატების რეაქცია ჩეჩნეთის გარშემო შექმნილ ვითარებაზე. საქართველოს ოკუპაციის იდეოლოგები დღეს აშკარად უპირისპირდებიან ელცინისა და ჩერნომირდინის სამთავრობო კურსს და შესაშური აქტიურობით გამოხატავენ ჩეჩნეთისადმი მხარდაჭერას. თუმცა, ნუ მივცემით ილუზიებს, ყვირილი სულაც არ ნიშნავს, რომ მათ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა სურთ. რუსი დემოკრატები მეტწილად არ იზიარებენ ჩეჩნეთის პრობლემის გადაჭრის ელცინ-გრაჩოვისეულ ძალისმიერ მეთოდებს და ჩანაცვლოდ თავისებურ დიპლომატიურ გზას სთავაზობენ. და მაინც, საინტერესოა, რამ გამოიყვანა ასე წყობიდან დინჯი ეგორ გაიდარი, რომლის პრემიერ-მინისტრობის დროსაც განხორციელდა თბილისური პუტჩი და დაიწყო ჩეჩნეთის გარშემო სიტუაციის გამძაფრება? რამ აქცია "გმირად" გრიგორი იავლინსკი - ავტორი საბჭოთა ეკონომიკის რეფორმის 100 დღიანი სუპერიმპერიული პროექტისა?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, თუ თვალს არ გადავავლებთ უკანასკნელი წლების პროცესებს, რომლებიც კვლავ აქ, საქართველოში იღებს სათავეს.

***

პროცესი კი სწორედ ელცინის "რეფორმატორული" კაბინეტის - გაიდარ-ბურბულისის ზეობის ჟამს დაიწყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის დამხობით. რუსეთის დემოკრატები უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ დიქტატორად შერაცხული ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ საინფორმაციო თუ სამხედრო კამპანიას. შედეგად - ნაციონალისტი შეცვალა სუკისა და პარტნომენკლატურის მოკაშკაშე ვარსკვლავმა, სამხედრო-საწარმოო ძალებთან შეზრდილმა (გრიგოლ ვოლსკის "გრაჟდანსკი სოიუზი", იგივე მოქალაქეთა კავშირი) ედუარდ შევარდნაძემ.

ამ საფუძველზე ბუნებრივად აეწყო შემდეგი საფეხურები:

- თბილისის გადატრიალებიდან ზუსტად ერთი წლის თავზე დაითხოვეს გაიდარი (უფრო ადრე კი ბურბულისი, რომლის ბრძანებითაც 1991-ის 28 დეკემბერს ბეპაემ იარაღის არსენალი გაუხსნა კიტოვანს);

- ლიტვაში სუფთად მოასრიალეს ღრმააზროვანი დუმილით მოცული ლანდსბერგისი და მისი ადგილი დაიკავა პარტოკრატ-პატრიოტმა ბრაზაუსკასმა;

- მოგვიანებით გათამაშდა ელჩიბეი - ალიევის ცნობილი პარტია და თუმცა შესრულება არ ყოფილა არც თბილისურივით ბინძური, არც ლიტვურის მსგავსად - დახვეწილი, გაჩნდა პირველი შეშფოთება როგორც რუსეთში, ისე დასავლეთში. თვით აშშ-ს ახალი პრეზიდენტიც კი აღელდა. მაგრამ პროცესი უკვე დაწყებული იყო და მას ვერაფერი შეაჩერებდა - უმთავრესი პრინციპის აღიარებისა და მის შესაბამისად მოქმედების გარდა. ეს კი, მოგეხსენებათ, დინების წინააღმდეგ ცურვად იწოდება!

- დინება მიუშვეს და მან არ დაინდო თვით სუვერენ-კომუნისტი კრავჩუკი. უკრაინის სადავეები გადაულოცეს კვლავ სამხედრო-საწარმოო ლობის წარმომადგენელს, ლეონიდ კუჩმას. ასეთივე ბედი ეწია ბელორუსიაში შუშკევიჩს, რომე-

***

18 დეკემბრის ღამით, გროზნოზე საჰაერო თავდასხმის დროს მოიერიშე თვითმფრინავებმა შეუტიეს საცხოვრებელ უბნებს. განადგურებულია ათი სახლი. "ის იყო სახლიდან გამოვედი, - მოგვითხრობს ახალგაზრდა კაცი, - და უეცარი, საშინელი დარტყმისგან ჩემს თვალწინ სათამაშოსავით დაიშალა კედელი. აფეთქების ტალღამ გვერდზე გადამისროლა, მაგრამ გონება არ დამიკარგავს და უმალ შევუდექი ნანგრევებიდან ხალხის გამოყვანას. ერთ-ერთი ოთახისგან შემორჩა მხოლოდ ერთი კედელი, სადაც პატარა საწოლში ბავშვს ეძინა. ბედნიერი შემთხვევის წყალობით, იგი სრულებით არ დაზარალებულა."

მეორე დარტყმა განხორციელდა ბუაჩიძის ქუჩაზე, სადაც რაიმე სტრატეგიული ობიექტების ხსენებაც კი არ არის, მხოლოდ საცხოვრებელი სახლებია. რამდენიმე სახლი ცეცხლშია გახვეული, ზოგიერთისგან კი მხოლოდ კედლებიღა დარჩა. საჰაერო თავდასხმის შემდეგ უბანში ალმოდებული ნანგრევები დარჩა. ხალხი ასუფთავებს ნანგრევებს, ჯგუფ-ჯგუფად დგანან ცეცხლის გარშემო. მათი მკაცრი და მტკიცე მზერა მრავლისმეტყველია. მხოლოდ ორმოციოდე წლის რუსის ქალი, რომელსაც მისი შეშინებული ოთხი ბავშვის თვალწინ აკავებენ მეზობლები, შეუპოვრად გაჰკივის: "რას სჩადიან ეს ნაძირალები. მომეცით ავტომატი, შევეწირები, მაგრამ ამ არამზადებს აქ არ შემოვუშვებ!"

## რუსეთი: ვინ ვის მხარეზეა

ჩეჩნეთში რუსეთის ჯარების შეჭრასთან დაკავშირებით, რუსეთის დუმის ნაწილი - კერძოდ ჟირინოვსკის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია და ბაბურინის პარტია "რუსეთის გზა" - აქტიურად უჭერს მხარს პრეზიდენტ ელცინისა და მთავრობის კურსს. პარლამენტსგარე ძალებიდან ჩეჩნეთის მიმართ აგრესიის პოზიციას იზიარებს მოძრაობა "რუსეთის ეროვნული ერთობა".

კომუნისტებმა და აგრარულმა პარტიებმა დროებით დაივიწყეს სსრკ-ს აღდგენის ოცნება და გამოვიდნენ ელცინის კრიტიკით, რაც, ცხადია, პრეზიდენტისა და მისი გუნდის გადაყენების სურვილითაა განპირობებული. ამავე დროს პრეზიდენტისა და მთავრობის მოქმედებების წინააღმდეგ გამოდის ეგორ გაიდარის ბლოკი "ვიბორ როსიი", რომელმაც მოუწოდა ყველა მხარდამჭერებს, დაივიწყონ მათ შორის არსებული წვრილმანი უთანხმოებანი, განახორციელონ ფართომასშტაბიანი ანტისაომარი კამპანია და ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ ხელისუფალთა პოლიტიკის წინააღმდეგ. გაიდარმა გადაწყვიტა მხარდაჭერა ეძიოს ფართო საზოგადოებრივ ძალებში. ამ თვალსაზრისით მას სოლიდარობას უცხადებს დემოკრატიული კავშირის ლიდერი ვალერია ნოვოდვორსკაია, თუმცა, გაიდარისგან განსხვავებით, იგი ყველაფერს თავის სახელს არქმევს: აგრესია, გენოციდი, სახელმწიფო ტერორი, ელცინის დიქტატურა.

იავლინსკის ბლოკი ასევე ანტიელცინისტური პროგრამით გამოვიდა და მოითხოვს პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მოქცევას პარლამენტის კონტროლის ქვეშ.

დამკვირვებლები მიიჩნევენ, რომ გაიდარ - ნოვოდვორსკაიას ვარიანტი ეფექტური გამოდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჰპოვებს ფართო მასების მხარდაჭერას. კრემლის მესვეურებს, ჩანს ეს პერსპექტივა ყველაზე მეტად აფრთხობთ და უკვე მიიღეს შესაბამისი ზომები: მოსკოვში მთელ წრიულ ხაზზე უკვე დგას ჯავშანტექნიკა. ამ საგანგებო ზომების გამართლებას მთავრობა "ჩეჩნური ტერორიზმის" საფრთხობელათი ცდილობს.

## რას ამბობს კანონი

რა სამართლებრივი ნორმებით ამართლებს რუსეთის ხელისუფლება აგრესიას ჩეჩნეთის მიმართ, რომელ კანონს ეყრდნობა კრემლი?

თუკი მხედველობაში მივიღებთ საერთაშორისო სამართალს, ჩეჩნეთის სიტუაცია აშკარავებს საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებულ წინააღმდეგობას. ერთ-ერთი პარაგრაფის მიხედვით აღიარებულია საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცნობილი სახელმწიფოს საზღვრების ხელშეუხებლობა. მეორე პარაგრაფი კი გვამცნობს, რომ თუკი რომელიმე ცალკე აღებულ ტერიტორიაზე მოსახლეობა საერთო სახალხო რეფერენდუმის გზით გამოაცხადებს დამოუკიდებლობას, მიიღებს თავის კონსტიტუციას და აირჩევს თავის ხელმძღვანელობას, მას აქვს უფლება იყოს დამოუკიდებელი. აქვე მოცემულია ორიოდე მითითება: ამ მოსახლეობის უმრავლესობა უნდა იყოს ავტოქტონური და სასურველია ამ ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულს გააჩნდეს დამოუკიდებლად არსებობის ისტორიული პრეცედენტი.

ჩეჩნეთის შემთხვევა აკმაყოფილებს ამ პარაგრაფის პირობებს, რითაც საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ჩეჩნეთი და რუსეთი თანაბარ მდგომარეობაში ექცევიან.

თუ რამდენად შეესაბამება ელცინის მოქმედებები მისივე ქვეყნის კანონებს, ამის შესახებ საუბრობს ცნობილი იურიდიული მიმომხილველი ლეონიდ ნიკიტინსკი. მისი აზრით, ელცინის ერთ-ერთი უკანასკნელი ბრძანებულება, ჩეჩნეთში ვიცე-პრემიერ ეგოროვის ხელმძღვანელობით რუსეთის ფედერალური ხელისუფლების ტერიტორიული მმართველობის შექმნის შესახებ, რუსეთის ხელისუფალთა მიერ გამოგონებული მორიგი იურიდიული ფენომენია. "მე დიდხანს ვეძებდი რუსეთის კონსტიტუციაში შესაბამის მუხლს, რომელიც ამგვარი სახელმწიფო ორგანოს შექმნის უფლებას იძლევა".

## საავადმყოფოდან პირდაპირ დუდაევის ლაშქარში წავალთ

ინგუშეთის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოიყვანეს ხუთი დაჭრილი ჩეჩენი, რომლებსაც რუსმა ჯარისკაცებმა საკუთარი სახლის წინ დგომისას, გზაზე მიმავალი ჯავშანმანქანებიდან გაუხსნეს ცეცხლი. ოთხს მსუბუქი ჭრილობები აღმოაჩნდა და პირველადი დახმარების მიღების შემდეგ მათ დატოვეს საავადმყოფო, ხოლო მეხუთეს ტყვიამ მარცხენა ხელის ძვალი დაუმსხვრია და აუცილებელი გახდა ხელის ამპუტაცია. ოპერაციის შემდეგ დაჭრილმა განაცხადა: "აქამდე არც ერთის მხარეს არ ვიჭერდი და ის ოთხი დაჭრილიც ამავე პოზიციას იზიარებდა. ახლა კი ვფიქრობ, კარგია, რომ სწორედ მარცხენა ხელი დავკარგე, - მარჯვენათი იარაღს დავიჭერ და აქედან პირდაპირ დუდაევის ლაშქარში წავალ. ის ოთხი, ჩემთან ერთად რომ იყო, უკვე იქ წავიდა."

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცეცხლის წრე

ლიც უნდა შეეცადოს სტაბილიზაცია პროცესებისაკენ.

ვინ შეიძლება არჩიოს?

ყარაბაღის "გმირი" ლევონ ტერ-პეტროსიანი, რომელიც მტკიცედ იცავს სომხეთის ტერიტორიულ მთლიანობას აზერბაიჯანში, და მირჩა სნეგური, რომელიც გულმოდგინედ [illegible] მოლდოვეთის [illegible] დნესტრზე.

რაც შეეხება შუა აზიას - [illegible] ელექტროენერგეტიკა, "ბაიკონური" და [illegible], რაც მთავარია, აქ კვლავ გრძელდება ავღანეთის ომი - ამჯერად ტაჯიკეთში.

რეანიმაციის ძირითადი ნიშნები სახეზეა: "პოსტპერესტროიკულ" ტალღაზე მოსული მმართველები მიდიან პოლიტიკიდან, ნელ-ნელა იდევნებიან ეკონომიკური სტრუქტურებიდან, იზღუდება თავად თავისუფალი საბაზრო სივრცე, იზღუდება თავად მათი არსებობის არეალი. კვლავ ძველ სკამებზე მომჯდარი ძველი გვარდია თამამდება, ძლიერდება, მდიდრდება, ერთმანეთთან შეთანხმებით აგვარებს ასევე შეთანხმებით დაწყებულ სამხედრო კონფლიქტებს, ალადგენს ძველ კავშირებს, ძველ სტრუქტურებს, ძველ ბაზებს. ამასობაში კი "ახალი ტალღის დემოკრატია" თითქმის ყველგან უმცირესობაში აღმოჩნდა და სასოწარკვეთილი გაჰყვირის.

ძველებს კი არ უყვართ ყვირილი, კონფრონტაცია, კონკურენცია. ძველებს უყვართ მშვიდობა, სტაბილობა და დამნაშავეობასთან ბრძოლა. და აი, ისინი უკვე თითს იქნევენ, იმუქრებიან - აქაც და იქაც, მეთოდურად უჭრენ ყელებს, რომელიც ·თავად "დემოკრატებმა" ჩაიოიცვეს სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპის უგულებელყოფით.

ამიტომაც "პოსტპერესტროიკულ" ალმავალ ტალღაზე მოსულ, ამჟამად კუთხეში მომწყვდეულ პოლიტიკოსებს არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ ყოფილ საბჭოთა სივრცეში ჩეჩნეთი დარჩა ერთადერთ გეოპოლიტიკურ სივრცედ, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს ალტერნატივის სახეს დანარჩენ ტერიტორიაზე გაბატონებული რეანიმირებული რეჟიმების მიმართ.

სამი წლის წინათ ამავე "ჰუმანისტ-ინტელექტუალთა" კასტამ სწორედ საქართველოსთან მიმართებაში დასვა საკრალური კითხვა - რა არის პირველადი: დამოუკიდებლობა თუ დემოკრატია? მაშინ ცალსახად არჩევანი დემოკრატიის სასარგებლოდ გაკეთდა. დღეს კი ეს ორივე ცნება მათთვის კვლავ კავკასიასთან მიმართებაში გადაიკვეთა და აღმოჩნდა, რომ ჩეჩნეთის ნაციონალიზმი მათი "დემოკრატიული სულისკვეთების" გამოხატვის ერთადერთი ასპარეზია, [illegible]

[illegible] დესაც ამ ტალღაზე მნიშვნელოვნად შეარყიეს პოლიტბიუროს ძლევამოსილი ციტადელი და თავად იგდეს ხელთ სადავეები, მთელი სისასტიკით დაგვიშინეს სიცრუე, ზიზღი, ტყვია; მოგვისიეს ბანდები, თავზე დაგვასვეს მათსავე კაბინეტებში გაწვრთნილი ჩეკისტები და მათივე ციხეებში გაზრდილი კრიმინალები.

თუკი ჩეჩნეთი გადარჩა, გადარჩებიან "დემოკრატებიც" და მაშინ კი შეუტევენ ჩეჩნეთს!

მაგრამ თუკი გარდუვალია დიდი ომი, ჩეჩნეთი იბრძოლებს, დემოკრატებს კი - საფიქრალია, თავები წასძვრებათ!

***

რუსეთში არსებული კლანურ-ნომენკლატურული ვითარებიდან გამომდინარე, ჩეჩნეთის დაცემა მოასწავებს - პოლიტიკურ სტრუქტურებში გამეფებული სამხედრო-საწარმოო ლობის პარალელურად - სამხედრო გენერალიტეტის აღზევებას. რუსეთის იმპერიის, მით უფრო საბჭოური პერიოდის, ისტორიამ დაადასტურა, რომ სამხედროების ძალაუფლებას ამ ქვეყანაში გარდუვალად მოჰყვება პოლიტიკურ უტოპიზმთან შეწყვილებული ტერორი.

"პერესტროიკის" ყველა ეტაპზე ჩვენ გვარწმუნებდნენ, რომ რუსეთის სამხედრო ძლიერება მნიშვნელოვნად სუსტდება და ამის დასტურად მოჰყავდათ თავად სამხედროების უკმაყოფილება. იმპერიის სამხედრო მანქანის წიაღში უდავოდ მიმდინარეობდა კრიზისული პროცესები, მაგრამ რა იყო ეს - ნგრევისა და დაშლის ტენდენცია, თუ პოსტაკვლანური სინდრომის შედეგად წარმოქმნილი კრიზისის დაძლევის ეტაპი?

ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია.

მეორეს მხრივ, ევროპაზე ზედამხედველობისგან გამონთავისუფლებული სამხედრო პოტენციალი მთლიანად გადმოსროლილია ყოფილ საბჭოთა სივრცეში, კერძოდ, - ხელოვნურად პროვოცირებული კონფლიქტების ზონაში. აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი, შევარდნაძის გარჯის შედეგად, დისლოცირებულია კავკასიაში, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული იმპერიის სტრატეგიულ გეოპოლიტიკურ ცენტრად და ამდენად მისი დაკარგვა საშინელ კატაკლიზმებს უქადის იმპერიულ სტრუქტურას.

ამასთან, რუსეთის მმართველი ელიტა თავად შეიძლება აღმოჩნდეს უფუნქციოდ და უსახლკაროდ დატოვებული თავისივე სამხედრო კონტინგენტის დარტყმის ქვეშ. ამიტომაც ჩეჩნეთის საბოლოოდ დამორჩილება ნიშნავს როგორც სახიფათო პრეცედენტის მოსპობას, ისე წარმოადგენს კავკასიაში მისი ხანგრძლივი ყოფნისა და მოსკოვში მოკალათებული ძალებისათვის ხელისუფლების შენარჩუნების გარანტიას.

ჩეჩნეთის დაცემა აფართოებს რუსეთის შესაძლებლობებს თავისი ინტერესების შესაბამისად მართოს ყოფილ რესპუბლიკებში პროვოცირებული დაპირისპირებანი და არა პირიქით, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია: თითქოს ჩეჩნეთის პრობლემის მოგვარების შემდეგ, რუსეთი დაეხმარება საქართველოს აფხაზეთის საკითხის გადაჭრაში.

ქართველი ფსევდო-პოლიტიკოსები ჯერაც ვერ მიმხვდარან, რომ ერთიანი კავკასიური ანტიიმპერიული ფრონტის შექმნა წარმოადგენს რუსეთზე დაწოლის ერთადერთ მძლავრ ბერკეტს და იძლევა თავად საქართველოს შიდა პრობლემების მოგვარების რეალურ შანსს. ხოლო კავკასიაში რუსეთის კონტინგენტის ზრდა, აძლიერებს რა იმპერიის ძალისმიერ პოზიციებს ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით, თავისთავად მოითხოვს ამ რეგიონის ქვეყნების მართვად დანამატად გადაქცევას ჩვეული მეთოდებით, რომელთაგან კუთხური სეპარატიზმის კულტივირება ერთ-ერთი უტყუარი საშუალებაა.

***

თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ძნელი სათქმელია. ჩვენი პროგნოზი არ არის ოპტიმისტური, მაგრამ ნებისმიერ ინტუიტურ თუ ანალიტიკურ მიგნებას ამსხვრევს ერთი რეალობა: ჩეჩენი ხალხი, რომელმაც ზუსტად იცის ვინ არის მისი მტერი - იბრძვის. იბრძვის თავგანწირვით, ისე, რომ ანგარიშსაც არ უწევს შესაძლო შედეგს. იბრძვის. ვინაიდან ვერანაირი დაშინებით ვერ დაარწმუნებს, რომ რუსეთთან ბრძოლას აზრი არა აქვს. იბრძვის და იბრძოლებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ამიტომაც, ლოგიკის საპირისპიროდ, ჩეჩნეთის ხელახალი დაპყრობაც კი, შესაძლოა, იმპერიის კრახის დასაწყისი აღმოჩნდეს.

ანა ჭავჭავაძე

# რუსები ცდილობენ დამალონ თავიანთი დანაშაულობანი ჩეჩნეთში

ასეთი კომენტარი გაისმა მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებში მას შემდეგ, რაც საბრძოლო მოქმედებებისა და რუსეთის ჯარის ოპერატიული ზურგის ზონებში რუსი ჯარისკაცები შეუდგნენ მიზანმიმართულ ნადირობას ჟურნალისტებზე. ავტომატის მუქარით რუსები რეპორტიორებს ართმევენ და ამსხვრევენ ტელე, ფოტო, რადიო აპარატურას. ასე მაგალითად, რუსი ჯარისკაცები თავს დაესხნენ ფრანგი ჟურნალისტების და რეპორტიორების გაერთიანებულ ჯგუფს, ჯერ დაუმსხვრიეს მთელი აპარატურა, შემდეგ კი სასტიკად გალახეს თავად ჟურნალისტები.

ტელე-რადიო კომპანია, "ასოშეიტედ პრესის" განცხადებით, ასეთივე ქმედებებს მიმართავდნენ სერბი ჯარისკაცები, რომლებიც დაპყრობილ ტერიტორიებზე განახორციელებდნენ ეთნიკურ წმენდას და სურდათ ამის დამალვა. "ჩვენს დროში ასეთი დანაშაულის მიჩქმალვა შეუძლებელია, - დასძენს "ასოშეიტედ პრესი", - მსოფლიომ შეიტყო სერბების ბარბაროსობის შესახებ, არ დაიმალება არც რუსი ჯარისკაცების დანაშაული".

"ჟურნალისტები სამართალდამცავ ორგანოებზე ნაკლებად როდი იცავენ კანონს იმით, რომ აჩვენებენ მთელს მსოფლიოს, თუ რა ხდება სინამდვილეში და საშუალებას აძლევენ ადამიანებს, თავად განსაჯონ - ვინაა მართალი.- განაცხადა რადიო "თავისუფლების" კორესპონდენტმა ვადიმ შუსტერმა. - გასული წლის 4 ოქტომბერს, მოსკოვის მოვლენების დროს ჟურნალისტები საკუთარი სიცოცხლის ფასად გადასცემდნენ რეპორტაჟებს შეტაკებების ადგილებიდან - "ოსტანკინოდან", მოსკოვის მერიიდან, "თეთრი სახლიდან". ჩვენი იქ ყოფნის გარეშე არავინ დაიჯერებდა, რომ პრეზიდენტის ჯარების მიერ პარლამენტის შენობის შტურმი გამართლებულია. ჩეჩნეთში სრულიად განსხვავებული სიტუაციაა. ის ადამიანები, ვინც ჩვენ გვიღერებს ავტომატის ლულას, ცდილობენ დამალონ თავიანთი სამოქმედარი. და არა იმიტომ, რომ რცხვენიათ, არამედ - არ სურთ იტვირთონ პასუხისმგებლობა.

# რას ფიქრობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში

აშშ-ს ამჟამად არ ექნება ერთიანი აზრი ჩეჩნეთის მოვლენების მიმართ. - ამბობს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი საიმსი. არსებობს პრეზიდენტისა და სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, რომელშიც გვარწმუნებენ, რომ ჩეჩნეთის საკითხი რუსეთის შინაური საქმეა. მაქსიმუმი, რასაც გააკეთებს ქლინტონი, ესაა მწუხარების გამოხატვა მრავალრიცხოვანი მსხვერპლის გამო და იმედი, რომ სისხლისღვრა მალე შეწყდება. მაგრამ იქნება კონგრესისა და სენატის განცხადება, რომლითაც დაიწყება რევოლუცია თუ არა, ყოველ შემთხვევაში ხმაურიანი ბუნტი ქლინტონის მიერ რუსეთის ბარბაროსულ ქმედებათა ხელშეწყობის, ყველგან და ყველაფერში პრორუსული პოზიციის გამო. რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, - რუსეთის ხელისუფალთა მოქმედებები ამერიკელების ნეგატიურ რეაქციას იწვევს. ამერიკის პრესა მეტ-ნაკლები ხარისხით მხარს უჭერს ჩეჩენ ხალხს და ამ ფონზე მკვეთრ დისონანს ქმნის მხოლოდ "ნიუ-იორკ თაიმსი", რომელიც ამართლებს რუსეთის პრეზიდენტის მკაცრ მოქმედებებს.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა ვულსიმ განაცხადა, რომ ჩეჩნეთის გამო ამერიკის პოლიტიკაში არ მოხდება რაიმე სერიოზული ცვლილებები. სხვა საკითხია, აბსოლუტურად მართებულია თუ არა ეს. მე ვფიქრობ, რუსეთში სიტუაცია ზოგადად სტრესულია, მაგრამ ტყუილად ელით, რომ ან აშშ პრეზიდენტი, ან ცსს დირექტორი იტყვიან იმას, რასაც სინამდვილეში ფიქრობენ. არ იტყვიან იმ შედეგების გამო, რაც შეიძლება მათ სიტყვებს მოჰყვეს. "- დასძინა საიმსმა.

# თურქეთის მთავრობის დემარში

თურქეთის მთავრობა კატეგორიულად არ აყენებს ეჭვქვეშ რუსეთის მთლიანობის საკითხს, მაგრამ ამავე დროს დიდი შეშფოთებით აღიქვამს ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესებს. თურქეთის აზრით, რუსეთის ჯარებმა უნდა შეწყვიტონ საბრძოლო მოქმედებები ჩეჩნეთში, ყველა სადავო საკითხი რუსეთისა და ჩეჩნეთის ხელისუფალთა შორის უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი გზით. თურქეთის მთავრობა საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს, რომ თურქეთისა და ჩეჩნეთს აკავშირებს არა მხოლოდ რელიგიური და ენობრივი ერთობა, არამედ ათასობით ოჯახური და ნათესაური კავშირები.

19 დეკემბერს ანკარაში, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოძახებულ იქნა რუსეთის ელჩი თურქეთში, რომელსაც გადაეცა თურქეთის მთავრობის ოფიციალური დემარში.

# "ჯარისკაცებად არ იბადებიან, ჯარისკაცებად კვდებიან!"

... აჭრია მოსკოვში, თავდაცვის სამინისტროს წინ მოპიკეტეთა პლაკატებს. დაუზუსტებელი მონაცემებით, რუსეთმა ჩეჩნეთთან გადმოისროლა 170 ათასამდე ოდენობის სამხედრო კონტინგენტი. ომის მერვე დღეს სერიოზული დანაკლისით გვარიანად შელახული რუსული ქვეგანაყოფები გამოჰყავთ მოწინავე ხაზიდან, მათ მაგივრად კი ურალიდან და ვოლგისპირეთიდან უკვე ელიან ახალ ნაწილებს, რომლებსაც ნაჩქარევად აკომპლექტებენ სამხედრო ოლქების ხელმძღვანელები. ამ ცნობამ ურალსა და ვოლგისპირეთში საზოგადოების საერთო აღელვება გამოიწვია. ურალიდან გასაგზავნი დაჯგუფებების ნახევარზე მეტს შეადგენენ შემოდგომაზე გაწვეულნი და პირველწლიანები. ამ ნაწილების ოცზე მეტმა ოფიცერმა, რომელიც არ ეთანხმება სარდლობის გადაწყვეტილებას, განცხადება გააკეთა შეიარაღებული ძალებიდან წასვლის შესახებ.

ჯარისკაცთა დედების კომიტეტის წარმომადგენელი, რომელიც იმყოფებოდა გასაგზავნი ნაწილების ყაზარმებში, საუბრობს ჯარისკაცების მორალურ მდგომარეობაზე: "ბიჭებს, ცხადია, არ სურთ წასვლა. ყაზარმებში ჩვენ საშინელი სურათი დაგვხვდა: ზოგი ზის და ხმამაღლა ტირის, ვინ ბალიშშია თავჩარგული, ვინ წერილს წერს ახლობლებს, ვინ ცდილობს ტელეფონით დაუკავშირდეს ოჯახს. ბიჭები სრულ ტრანსში არიან".

ურალის საზოგადოებრივი ორგანიზაციები პროტესტს გამოხატავენ ჩეჩნეთში მიმდინარე ომის გამო, ურალის ფედერალურ ხელისუფლებას, ურალის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობას, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს, მთავრობასა და პირადად პრეზიდენტ ელცინს მოსთხოვენ, შეწყდეს საბრძოლო მოქმედებები. მაგრამ ყველა ეს მცდელობა დუმილის კედელს აწყდება.

# რუსი სახელმწიფო მოღვაწე...

... კომპეტენტური სამხედრო საქმეში და სამხედროებში დიდი ავტორიტეტის მქონე, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მაქსიმალური ნდობით სარგებლობს. - ასე ახასიათებს ინგუშეთის პრეზიდენტს, რუსლან აუშევს გრიგორი იავლინსკი. მისი აზრით, სწორედ აუშევი უნდა წარმოადგენდეს რუსეთის ფედერალურ ხელისუფლებას დუდაევთან მოლაპარაკებების დროს. იავლინსკის გეგმით, მასვე უნდა დაექვემდებაროს კონფლიქტის ზონაში არსებული რუსეთის ყველა სამხედრო ნაწილები. მან უნდა დაიწყოს კონფლიქტის მოწესრიგების პირველი ეტაპი, რომელიც შეიცავს: ცეცხლის შეწყვეტას, ჯარების დაშორიშორებას და ტყვეების გაცვლას. ამის შემდეგ შეიძლება პოლიტიკური მოლაპარაკების დაწყება, რომელიც უსასრულოდ შეიძლება გრძელდებოდეს, მაგრამ რაც მთავრია, სისხლისღვრის გარეშე, - მიაჩნია იავლინსკის.

უცხოეთის ინფორმაციების მიხედვით
პუბლიკაცია მოამზადა
დემეტრე ქარციძემ

# რა ხდება რუსეთის ჯარში

ჩეჩნეთში სამხედრო ოპერაციის ჩაშლასთან დაკავშირებით, რასაც სულ უფრო ხშირად უსვამენ ხაზს, რუსეთის არმია ციებ-ცხელებამ შეიპყრო. მოულოდნელად იქცა სამხედრო ძალების მთავარსარდლის მოადგილის გადადგომა განცხადებით, რომ მას არ სურს მთელ ამ ისტორიაში განტევების ვაცი აღმოჩნდეს. დნეპრისპირეთში განლაგებული მე-14 არმიის სარდალმა, გენერალმა ლებედმა ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების დაწყებას უწოდა ხელისუფლებისა და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა. მან გააფრთხილა საზოგადოება, რომ დიდი სისხლისღვრის შემთხვევაში დაიწყება "მეისრეების" ძიება არა ქვეყნის ხელმძღვანელობაში, არამედ შეიარაღებულ ძალებში. მართლაც, გრაჩოვი უკვე შეუდგა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მეთაურთა გადაყენებას.

ვლადიკავკაზში განლაგებული პოლკის ოფიცრებმა ატეხეს ამბოხი და უარი განაცხადეს საომარ მოქმედებებში მონაწილეობაზე.

ერთ-ერთი პოლკის მეთაურმა მიიღო ჩეჩნების სოფლის განადგურების ბრძანება, მაგრამ უარი თქვა მის შესრულებაზე, სანამ სარდლობა არ გამოუგზავნიდა ხელმოწერილ დოკუმენტს. სარდლობამ კი თავის მხრივ თავი შეიკავა ამგვარი დოკუმენტის გაცემაზე. მოგვიანებით მინისტრმა გრაჩოვმა საერთოდ უარყო ბრძანების არსებობა.

განსაკუთრებით გახმაურდა ფსკოვის დივიზიის მეთაურის, ბაბიჩევის მოქმედება - მან უარი განაცხადა შეტევის განხორციელებაზე.

23 დეკემბერს, საღამოს გრაჩოვმა მიმართა ელცინს პატაკით, რომელშიც აღნიშნულია სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სულ უფრო მზარდი გაუარესება. ჩეჩნეთის ოპერაციის შედეგად, კავკასიაში ყოველდღიურად მატულობს ანტირუსული განწყობილება და იზრდება დუდაევის ავტორიტეტი. სამხედროები არ არიან დარწმუნებულნი თავიანთ ზურგში, - ამბობს გრაჩოვი. - იციან რა პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებისა და საინფორმაციო საშუალებების რეაქცია, რომელიც ხელს უწყობს შეიარაღებული ძალების, ოფიცერთა შემადგენლობის დეზორგანიზებას.

# რა უჯდება რუსეთს ომი ჩეჩნეთში

24 დეკემბრისთვის საბრძოლო მოქმედებების ზონიდან ლტოლვილების რაოდენობამ 20 ათასს გადააჭარბა. რუსეთის მიგრაციის სამინისტრო თვლის, რომ მოსალოდნელია ლტოლვილთა რაოდენობამ 50 ათასს მიაღწიოს, რასაც 38 მილიარდი მანეთი დასჭირდება. რუსეთის მთავრობამ არავითარი რეაგირება არ მოახდინა სამინისტროს ამ შემაშფოთებელ განცხადებაზე.

***

შუა აზიის ქვეყნების მთავრობები შიშობენ, რომ ჩეჩნეთის მოვლენებს შესაძლოა მოჰყვეს მღელვარება მათ სახელმწიფოებში. ამის თავიდან ასაცილებლად უკვე მიღებულია შესაბამისი ზომები: აყვანილია გაძლიერებული დაცვის ქვეშ რუსეთის საელჩოები და რუსეთის ფედერაციის კუთვნილი სხვა ობიექტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მცირე მოგონება ერთი გლოვის შესახებ

## აკაკი გაწერელია

(წიგნიდან "მემუარები")

1922 წელს ბიძაჩემმა გრიგოლ გაწერელიამ სოფლიდან თბილისში ჩამომიყვანა. ჩვენ ვცხოვრობდით ანასტასიევის (ახლანდელი პეროვსკაიას) ქუჩის 17 ნომერში პირველ სართულზე. ვსწავლობდი მე-2 გიმნაზიაში, რომლის შენობა მდებარეობს კამოს ქუჩაზე, მარჯანიშვილის თეატრის ახლოს.

ვიგონებ: ზოგჯერ ბიძაჩემთან შემოივლიდა მისი ყველაზე უმცროსი ძმა დავითი (დათიკო). იგი გვიან ღამით მოდიოდა და დილით ადრიანად ტოვებდა ძმის ბინას. ეს გარემოება მაკვირვებდა. მხოლოდ გვიან გავიგე, რომ ბიძაჩემი დავითი შეთქმულების წევრი იყო და ამიტომაც იმალებოდა.

გაზაფხულობით, არდადეგებზე, მშობლიურ სოფელ მარტვილში ჩავდიოდი დასასვენებლად. როცა მე-5 კლასის დამთავრების შემდეგ 1924 წელს გავემგზავრე მარტვილში, კერძოდ მისგან გამოყოფილ პატარა სოფელ ლახაჩებუში (რომელიც მონასტრის ფერდობს ებჯინება), მოხდა ის ამბავი, რომლის შესახებ მოკლედ მინდა მოვუთხრო მკითხველს.

ზაფხულში, სოფელში ყოფნისას, მომისწრო 1924 წლის ცნობილმა აჯანყებამ. მაშინ თხუთმეტი წლის ვიყავი, მაგრამ პოლიტიკის საკითხებში კარგად გათვითცნობიერებული არ გახლდით. ერთი კი მაკვირვებდა: მოსახლეობის აღტყინება, საერთო სიხარული, რომელიც გარემოს დაუფლებოდა. მთელი სოფელი მარტვილისაკენ მიმავალ ქუჩაში, მთავარ მაგისტრალზე იყო გამოფენილი.

გვიან, აჯანყების სისხლში ჩახრჩობისა და ჩემი შემდგომი განსწავლის წლებში, როცა კარგად გავეცანი აჯანყების ისტორიას, მივხვდი, რაოდენი მნიშვნელობის მოვლენის მომსწრე გავხდი ყრმობაში.

როცა იმდროინდელმა მთავრობამ საზღვარი დაუდო ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. სისხლმა და გლოვამ შეცვალა თავისუფლების დაბრუნების ილუზიით გამთბარი საყოველთაო ზეიმი. მარტვილში ჩამოიგრიალა სადამსჯელო ეგზეკუციამ (არაქართული შემადგენლობის რაზმებმა). ხალხმა საკუთარ ეზოებს მიაშურა. ზოგი ბუჩქნარებში მიიმალა.

იმ ხანებში უკრაინიდან სოფელში ჩამოსული იყო ბიძაჩემი ივანე, ექიმი, რომელმაც მე და ჩემს დას ხელი მოგვხვია და მდინარე აბაშის მლვიმეებში დაგვმალა. დილამდე იქ ვიყავით თავშეფარებულნი.

დილისთვის რაზმებს სოფელი დაეტოვებინათ და ჩვენც სახლში დავბრუნდით.

აჯანყება ჩაახშეს. ხალხს აპათია დაეუფლა.

ჩემს მიზანს არ შეადგენს 1924 წლის აჯანყების პერიპეტიების დაწვრილებით აღწერა, ეს ვეება მონოგრაფიის თემაა. მკითხველს მხოლოდ ორიოდ ეპიზოდს მოვუთხრობ იმ ტრაგედიისას, რომელიც ჩემს სოფელში გათამაშდა აჯანყების ჩახშობის შემდეგ.

ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა მღვდელი მიხა გაწერელიას ოჯახი. უფროსი ვაჟი მიშა ადრე გარდაცვლოდა. ჰყავდა გათხოვილი ქალიშვილი. მიხა გაწერილიას სიძე (როგორც შემდგომ გავიგეთ) აჯანყებაში მონაწილეობდა და თავისი ახალშერთული ცოლის მოსანახულებლად გვიან ღამით მოდიოდა მხოლოდ, რომ მეზობლების და გამვლელთა ყურადღება არ მიეპყრო. ეს კაცი გვარად გაბუნია ყოფილა. იგი რაზმელებს მაინც შეუპყრიათ და ნოსირის ველზე დაუხვრეტიათ. ეს ადგილი ჩვენი სოფლიდან დიდი მანძილითაა დაშორებული.

როგორც მერე გავიგე, ყველა, ვინც იმ დღეს დაუხვრეტიათ, ნოსირის მინდორზე დაუყრიათ და მთელი ველი დაუმარხავი გვამებით ყოფილა მოფენილი. აჯანყების ჩახშობიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ სოფლელები უჩვეულო ამბის მომსწრენი გავხდით: ჩვენი სოფელი ძაღლებისგან დაცარიელებულიყო, გაურკვეველი მიმართულებით გაპარულიყვნენ. არც ყორნები დაფრინავდნენ ცაში, ერთი ყვავი-ყვანჩალაც არ ჩანდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი სოფლის ქუჩაზე მუცელდაბერილი ძაღლების უშველებელი, გრძელი მწკრივი გაჩნდა. ყველა ძაღლი სანოვაგის მარაგს, ადამიანის ხორცს, კიდურებს, ნაწლავებს მოათრევდა პირით. დამძიმებული ძაღლები ძლივს-ძლივობით მოლასლასებდნენ.

შემაძრწუნებელი, თავზარდამცემი სანახაობა გახლდათ! ძაღლები თავიანთ ბუნაგებს დაუბრუნდნენ, მაგრამ თან აუტანელი სუნი და სიმყრალე მოიტანეს.

იმავ საღამოს სოფელი თოფების სროლის ხმამ გააყრუა - პატრონები ადამიანის ხორცით გამძღარ თავიანთ ძაღლებს ჰკლავდნენ და ღრმად ფლავდნენ მიწაში.

სანამ ლეკვები არ წამოიზარდნენ, სოფელი უძაღლოდ იყო დარჩენილი. ღამ-ღამობით აღარ ისმოდა მათი ყეფა.

ასეთი გახლდათ "კონტრრევოლუციური აჯანყების" ჩაქრობის შემზარავი შედეგი.

მალე გამოირკვა, გაბუნიას ახალგაზრდა ქვრივი ჩუმად წასულა ნოსირში და იქ, გვამებს შორის მოკლული ქმრის ცხედარი ამოუცვნია. გვამი ტომარაში მოუთავსებია და თავისი სუსტი მხრებით, მშიერ-მწყურვალს, მთელი დღე-ღამე უთრევია იგი სახლამდე. მერე სასიმინდის ქვეშ მიწა მოუთხრია და სახელდახელოდ იქ დაუმარხავს. მიწის თხელ ფენას გვამის ხრწნის დაფარვა ვერ მოუხერხებია და როცა ქალი იძულებული გახდა მეზობლებისთვის გაენდო საიდუმლო, მათი რჩევით ქმრის ცხედარი მაგრად დახურულ კუბოში ჩაასვენა და მეზობლების დახმარებით ქრისტიანული წესით დამარხა.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემს ყმაწვილურ გონებაზე მაინც თვითონ ქალის ტირილმა დატოვა. რამდენიმე სიტყვა ამის გამოც.

არსად ისე კარგად არ მღერიან, როგორც კახეთში. არსად არ სტირიან ისე გულშემზარავად, როგორც სამეგრელოში. ამ ტირილში არის რაღაც არქაული, პირველქმნილი. თითქოს მთელი სამყაროს სევდა იყრის თავს მეგრულ გოდებაში.

ასე მოთქვამდა, ალბათ, კოლხელი მედეა კორინთოში. ბერძნული თეატრის თბილისში გასტროლების დროს, როცა პაპატანასიუ ვნახე მედეას როლში, ის ბავშვური შთაბეჭდილებები აღმიდგა ისევ.

იმ სისხლიან ზაფხულს მარტვილელი კოლხი ქალი დასტიროდა თავის მოკლულ ქმარს, სუსტი მხრებით რომ ზიდა სასაკლაოდან და ყველა, პატარა თუ დიდი, ვტიროდით და ვგლოვობდით. მასთან ერთად. ალბათ, საქართველოსაც დავტიროდით. საქართველოს, რომელსაც კიდევ ბევრი ტრაგედია ჰქონდა გარდასახდენი.

# რევოლუცია შეუდგა საკუთარი შვილების შთანთქმას

თბილისური პუტჩის გმირების მკვლელობისა და ტერორიზების პრაქტიკა უკვე 1992 წლიდანვე დაინერგა. პირველი ამგვარი გახმაურებული ტერორისტული აქტი მოხდა ავადმოსაგონარი 13 ივნისის შემდეგ: 17 ივნისს საკუთარი სახლის წინ, მანქანაშიააფეთქეს "მხედრიონის" ცნობილი ყოჩი, ერთ დროს ჯაბა იოსელიანთან დაახლოებული პირი თამაზ ყურაშვილი - ბულა. შემდეგი იყო ზაზა ვეფხვაძე. უკვე 1994 წლიდან, როდესაც კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა და ფაქტობრივ მმართველობას შორის დაპირისპირების ხაზმა თავად არსებული რეჟიმის წიაღში გადაინაცვლა, ერთმანეთის მიყოლებით მოხდა რამდენიმე სამაგალითო მსხვერპლშეწირვა:

- ყარყარაშვილ-გიორგაძის კონფლიქტის ფონზე, საკუთარ სახლში ააფეთქეს ნიკოლოზ კეკელიძე, ყარყარაშვილთან დაახლოებული პირი, მისი მოადგილე თავდაცვის მინისტრობის ჟამს. ასევე საკუთარ სახლთან დაცხრილეს თბილისის, ზუგდიდისა და სოხუმის რეპრესიებით სახელმოხვეჭილი გია გულუა. ამას გარდა, სამი წლის განმავლობაში მაფიოზური კლანებისა და ხელისუფლების ბნელ კულუარებში მიმდინარე "საქმის გარჩევებმა" შეიწირა ათეულობით ცნობილი "ბოევიკი", შეიარაღებული ბიზნესმენი, კანონიერი ქურდი: ზოგი შეტაკებების დროს დაიღუპა, ზოგი ქუჩაში ჩაცხრილეს, ზოგიც სახლში. გაურკვეველ ვითარებაში გამოესალმა სიცოცხლეს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი დემურ დვალიშვილი და ბევრი ახლაც მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა კარგად შენიღბულ მკვლელობას და არა თვითმკვლელობას. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით აღძრული არც ერთი საქმე არ გამოაშკარავებულა, არ გამოვლენილან მკვლელები და, საერთოდ, უცნობია, მიმდინარეობს თუ არა რაიმე გამოძიება.

და აი, უცებ საკუთარ სახლთან, დღისით, ხალხის თვალწინ მოკლეს გიორგი ჭანტურია. მოკლეს მოულოდნელად, ჩვეული სისასტიკით. მკვლელები მოქმედებდნენ დაუფარავად, აუჩქარებლად, პროფესიონალის უდრტვინველობით. მით უფრო უცნაურია, რომ მიჯრით წარმოებული, თითქმის ხუთწუთიანი ცეცხლის შემდეგ, ადგილზევე გარდაიცვალა მხოლოდ ეძპ-ს თავმჯდომარე, ხოლო ირინე სარიშვილმა, შეიძლება ითქვას, რამდენიმე სერიოზული ნაკაწრი მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ეს მკვლელობა განხორციელდა ეროვნულ - დემოკრატების მიერ ორგანიზებული აღმოსავლეთ ევროპის (ანუ ყოფილი სოცბანაკის ქვეყნების) ქრისტიან-დემოკრატთა ყრილობის დახურვის დღეს, რაც ამ აქტს უდავოდ ანიჭებს დემონსტრატიულ, საგანგებო მნიშვნელობას. ამ გარემოებამ, ბუნებრივია, მეტი რეზონანსი შესძინა ისედაც სენსაციურ აქციას.

ჭანტურიას მკვლელობა ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ ესაა პირველი მსხვერპლი "პირველების" ეშელონიდან: აქამდე იწირებოდნენ ძირითადად მეორე, ან რიგითი პირები. ამიტომაც საზოგადოებამ ადვილად ირწმუნა რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთის ტელევიზიის მიერ გავრცელებული ჭორი ყარყარაშვილის მკვლელობის შესახებ. არ არის გამორიცხული, რომ ეს დეზინფორმაცია გაფრთხილების, ან პირიქით - ინსტრუქციის სახეს ატარებდა.

ასეა თუ ისე, გიორგი ჭანტურიას მკვლელობამ მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა, გარეგნულად ეს შეიძლება ასე არც ჩანდეს.

იმ უაღრესად გადაჭარბებულმა დითირამბებმა, რომელსაც ჭანტურიას პოლიტიკური და სამწერლო მოღვაწეობის თაობაზე აფრქვევდა პუტჩისტური საზოგადოება და ოფიციოზი, ამ ისედაც ოდიოზურ პერსონას კარიკატურული ელფერი შემატა და უნებლიედ გაგვახსენა მისი "წინასწარმეტყველური" პროგნოზები. გვსურს თუ არა, გიორგი ჭანტურია უთუოდ შევა საქართველოს ისტორიაში, როგორც ავტორი საკრალური სიტყვებისა - "...შევარდნაძე-გამსახურდიას ალიანსმა საქართველო, შესაძლოა, დაღუპვამდე მიიყვანოს". საფიქრალია, რომ მათი მთქმელი უკვე იმხანად შევარდნაძის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ბრძოლაში. ალბათ, ამ ძველი მეგობრობის ნაყოფია მთელი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული პრაღის კონფერენციის 24-ე რეზოლუცია, რომელშიც აფხაზეთის კამპანიის "გმირებმა" წინასწარ დაიზღვიეს თავი და მათი მომავალი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა ზვიად გამსახურდიას დააკისრეს.

დაბოლოს, გიორგი ჭანტურია ემახსოვრებათ, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეზე ერთადერთი "პოლიტპატიმარი", რომელიც "დიქტატორული რეჟიმისა და ტოტალური ტერორის" პირობებში, ციხეში პრესკონფერენციებს მართავდა.

რამდენიც არ უნდა იყვირონ ძმებმა გუდავებმა, ყველასათვის ნათელია, რომ ჭანტურია არასოდეს ყოფილა არსებული ხელისუფლების ოპოზიცია, მით უფრო ოპოზიციის ლიდერი. პირიქით: იგი იყო ამ რეჟიმის წიაღში მბორგავი ძალების ყველაზე რეალური, ენერგიული და პერსპექტიული კონკურენტი. ამიტომაც მისი მკვლელობა არ წარმოადგენს მხოლოდ კონკრეტული პიროვნების მიმართ ჩადენილ ქმედებას, უბრალო ანგარიშსწორებას. ესაა ნიშანი, გაფრთხილება თავისიანებისათვის, რომლებიც სერიოზულად ცდილობენ დაეპატრონონ მათიანებისავე ხელში მოქცეულ მმართველობის ბერკეტებს. შესაძლოა ეს აქტი იქცეს რეჟიმის წიაღში დიდი ტერორის დასაწყისადაც, ისევე, როგორც სტალინური ტერორის საწყისად იქცა კიროვის მკვლელობა 1934 წელს. საერთოდ, კომუნისტებს უყვართ თავისიანების განადგურება!

თუ პროგნოზი გამართლდა, მაშინ უახლოეს პერიოდში უნდა ველოდოთ მსგავსი აქციების მთელ სერიალს, რის შედეგადაც საქართველოს პოლიტიკურ ძალთა სპექტრი საგრძნობლად ერთფეროვანი გახდება და ახლო მომავალში ქვეყანა ერთი ბატონის მონოპოლიის ქვეშ მოექცევა.

კომუნისტური მმართველობის პრაქტიკიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ქვეყანაში გამეფებული ეკონომიკური ქაოსი, ენერგეტიკული კრიზისი, ფინანსური სტაგნაცია, კუპონის ხელოვნური გამყარება მისი დეფიციტის შექმნის ხარჯზე - ყოველივე ეს კარგად ორგანიზებული ზომებია, რომელთა მიზანი ასევე მონოპოლური, ერთი მფლობელის მიერ კონტროლირებადი ეკონომიკის შექმნაა.

არსებითად დღეს საქართველო პოსტრევოლუციური ქაოსიდან პოლიტიკური და ეკონომიკური ავტორიტარიზმის, ტოტალიტარული მმართველობითი სისტემის აღდგენის ახალ ეტაპზე გადადის. თუ კონკრეტულად ვინ ჩაუდგება ამ პროცესს სათავეში, ვისთვის იწმინდება პირამიდის წვერისაკენ მიმავალი გზა, ამ კითხვაზე საორიენტაციო პასუხი იქნებ თავად ჭანტურიას ერთ განმარტებაში მოვიძიოთ:

"არსებობს ერთი საზომი პოლიტიკაში: ყველაფერს დოკუმენტურად ვერავის დაუმტკიცებ, მაგრამ თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, შეიძლება რაღაც დასკვნამდე მივიდეთ. მაგალითად, არავითარი პირდაპირი კავშირი ანვარ სადათის მკვლელობასა და სსრკ-ს ხელმძღვანელობას შორის არ იყო, მაგრამ ამ ფაქტით ისარგებლა სსრკ-მ. (...)

იგივე მეორდება დღეს საქართველოში. ვინც ყველაზე მეტად გამოიყენებს 13 რიცხვის ტერორისტულ აქტს და თამაზ ყურაშვილის მკვლელობას, სწორედ იმისი გაკეთებულია და მისი დაინტერესებითაა ეს მომხდარი" (გაზ. "ფაქტი, აზრი, კომენტარი", N7, 24 ივნისი, 1992).

მომავალი გვიჩვენებს, თუ ვისთვის მოკლეს გიორგი ჭანტურია.

**რომანოზ საგინაშვილი**

# ოცდაათი ვერცხლი და ოცდახუთი დოლარი

ერთი წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და მეცნიერ-თანამშრომლებმა შექმნეს ისტორიული დოკუმენტი - "103-ის წერილი". პირველი, ვინც მას გამოეხმაურა, იყო აგრარული უნივერსიტეტი. შემდეგ დაიძრა უწყვეტი ნაკადი აზრის გამზიარებელთა წერილებისა. და აი, სულ ცოტა ხნის წინ უნივერსიტეტმა კვლავ გაგვაგონა თავისი ხმა "იბერია-სპექტრის" მეშვეობით. ამჯერად იგი საგაზეთო სტატიების ნუსხას შეემატება მხოლოდ და, ალბათ, ბოლომდე ასე დარჩება, რადგან იქ გატარებული აზრის გაზიარება საკუთარი მრწამსის ღალატია. სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ.

ვისაც ეს წერილი არ წაუკითხავს, მოვახსენებთ, რომ ცოდნის ტაძრის მესვეურნი 25 დოლარად აფასებენ თავის დუმილს. დუმილს, როცა აღარ არსებობს საქართველოს რამოდენიმე წლის წინანდელი საზღვრები, ქართველები ტოვებენ საქართველოს, ქართველები საქართველოში ლტოვილებად იქცნენ, მოიშალა სწავლა-განათლება, ხალხი შიმშილით და სიცივით იხოცება და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

პატივცემულო კოლეგებო, 25 დოლარი ცოტა ხომ არ არის თქვენი მრწამსის უარყოფის ასანაზღაურებლად?

აგრარული უნივერსიტეტის დოცენტი
აულა გიგაური

## საქართველოს ჰელსინკის კავშირის III რესპუბლიკური კონფერენციის

### დადგენილება N1

საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ერთგული რჩება რა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიერ დასახული საქართველოს სრული დამოუკიდებლობის კურსისა, არ ცნობს კანონიერად 1992-94 წ.წ. ქვეყანაში გაბატონებულ რუსეთის საოკუპაციო რეჟიმს, იურიდიული ძალის არმქონედ მიიჩნევს მის მიერ მიღებულ ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს და უკანონოდ აცხადებს ამ რეჟიმის დაკანონების ნებისმიერ მცდელობას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ჰელსინკის კავშირის III რესპუბლიკური კონფერენცია ადგენს:

1. ჰელსინკის კავშირის ნებისმიერი წევრი, ან წევრთა ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს უკანონო საოკუპაციო რეჟიმის მიერ დანიშნულ არჩევნებში, ხელს შეუწყობს ამგვარი არჩევნების ჩატარებას, ან გასწევს მის პროპაგანდას, მექანიკურად გაირიცხოს საქართველოს ჰელსინკის კავშირის რიგებიდან.

2. ჰელსინკის კავშირის წარმომადგენელთა მხრიდან საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციათა "მრგვალ მაგიდაში" დაისვას საკითხი მასში შემავალ ორგანიზაციათა მიერ ასეთივე გადაწყვეტილების სავალდებულო მიღების თაობაზე.

*1994 წლის 18 დეკემბერი*
*ქ. თბილისი*

## შეცდომის გასწორება

თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრმა გვაცნობა, რომ ჩვენი გაზეთის №4-ში, მამუკა ტუსიშვილის პუბლიკაციაში "თბილისის ზღვა პუტჩების ლაბორატორია?!" გაიპარა შეცდომა: იქ მოხსენიებული გია ასათიანი არასდროს ყოფილა თბილისის ზღვაზე დაბანაკებული სამხედრო შენაერთის მეთაური. გაზეთი სინანულს გამოთქვამს ამ შემთხვევითი შეცდომის გამო.

# TAVISUPALI SAKARTVELO N5
# IN BRIEF

## True Georgia Supports Chechenia

Georgia's political and social organizations - Helsinki Union, Ibero - Caucasian Movement, Georgianian Movement, National Conservative Party, League of Patriots, University Society, Technical University Society - sent a letter of support to the President and Government of the Chechen Republic of Ichkeria in which they condemned Russia's aggression against the independent Chechen Republic and expressed their solidarity with the heroic Chechen people in their struggle.

The letter was made public both on T.V. and a rally held in Grozny. At the same time, rally participants were informed that Chechenia surrounded from three sides by Russia, had been blocked from Georgian side as well, where Russian troops had been stationed on Shevardnadze's order.

At the press - conference held on December 15, President Jokhar Dudaev pointed out that true Georgia supported Chechen people's striving for freedom. He declared that he would never give up his struggle against the invaders.

The 3 rd Republican Conference of the Helsinki Union held in Tbilisi on December 18, adopted a document expressing its support to the Chechen people.

On December 19, at 1. p.m. a protest rally was held on the initiative of the above-mentioned political organizations in front of the Russian Embassy. The rally participants demanded from the Russian government to stop aggression against independent Chechen Republic and remove the occupational troops from Georgia and the entire Caucasus. The action was brutally broken up by the Embassy guards armed with "Kalashnikovs" and the police. They assaulted rally participants, both physically and verbally and threatened foreign journalists attending the rally. Two students, Irakli Patsuria and Revaz Kakulia were arrested. They were taken first to the police department and then to the city police isolation cell.

The US Embassy and foreign information services were informed about the fact.

## Demands of Giorgi Kervalishvili, President of the All Geogian Association of Human Rights

(was on hunger strike from October 16 - November 3, 1994. Later 15 members of a protest sit-in joined him).

We demand:

1. The arrival of International observers and experts in Georgia (UN Human Rights Committee, European Council experts, representatives of both governmental and non-gevernnental International organizations on Human Rights) for fixing their attention on methodic brazen violation of human rights.

2.An end to be put to mass violations of elementary human rights;

a) the realease of all political prisoners;

b) the presence of international observers at the trials of political prisoners;

c) an end to be put to tortures of polit-prisoners and ordinary citizens in preventive detention and isolation cells; legal norms and acts adopted by the UNO to be observed in regard with any prisoner.

d) the abolition of any legislative act which is not in accordance with the norms of International Law:

1. Tbilisi Municipality resolution on regulations regarding rallies and demonstrations;

2. Georgian Criminal Code to be in accordance with International Agreement on Ceivil and Political Rights.

e) an end to be put to all kinds of oppressions, persecusions and discriminations for political beliefs;

f) an end to be put to brutal dispersions of peaceful rallies and demonstrations;

g) freedom of press, liberation of mass media (T.V., radio) from state dictat;

h) time on T.V, to be given to government in exile and the representatives of opposition;

i) the Republic's "law enforcement bodies", (Procurator's office, Supreme Court, Security and Internal Affairs Ministries) to observe "Helsinki Watch" and other international organigations recomendations and regulations;

j) protection of elementary social rights of the citizens;

k) abolition of capital punishment;

3) the 1991-92 military coup, instigated by Russia, the Russian-Georgian so-called Big Agreement and Georgia's incorporation into CIS to be evaluated as Georgia's actual occupation and annexation.

Russian Army, as an alien force to be given the occupational status and to leave Georgia's territory;

4) anti-human policy carried out by the factual gevernment having come to power on January 6, 1992, to be evaluated as the genocide of Georgia's population (shooting of rallies and demonstrations, punitive campaigns against Samegrelo and other regions, exposing population to mortal danger, economic sabotage and others.);

5) the Georgian state jurisdiction to be restored in Samachablo and Abkhazia, which will become guaranter of peaceful return of the refugees;

6) establishment of true political pluralism in our country.

7) communist, dictatorial methods of administration to be rejected once and forever. True, instead of today's pseudo-democracy to be established, exercisings of political rights to be guaranteed.

This will enable us to form and develope an open and civilized society.

The action is being carried out under the aegis of the Georgian Association of Human Rights

Press Service.

## In the Absence of the Accused

The Judge Mirza Dolidze might easily be included into the Guiness Book of Records as the conductor of an unprecedented trial in the absence of the accused, lawyers and sometimes a procurator....

Regulations enacted by the Court Collegium are being violated once again at the "Case of Zviad Gamsakhurdia and his supporters "court sessions.

The regulations envisage the examination of the accused first and then of the witnesses.

As the reader is already informed, the Collegium stopped the interrogation of the accused on October 25, and the hearings of the witnesses and the victims started, under the pretext that "the witnesses won't be able to arrive from the regions in winter." Winter came; and on November 30, the Court Collegium changed its previous decision. Interrogation of witnesses ended and the court reassumed the examination of the accused.

The accused Ivane Lashkarashvili, Givi Kalmakhelidze, Beso Bochoradze and Mamuka Danelia were examined. Before giving evidence, B.Bochoradze asked for a 15 minute consultation with his lawyer Babunashvili who since August 26, i.e. for four months, had not been attending the court sessions. The Judge M.Dolidze responded to this request with the following remark: "the Court has discussed the matter regarding you and your lawyer and has come to the decision that the session will continue without your lawger."

Thus, the Court came to the decision that B.Bochoradze did not need a lawyer (?!)

In connection with the fact, lawyers, including the ones taking part in the court sessions, shrug their shoulders and declare that nothing of the kind has ever happened in the juridical practice. Whole series of decisions taken by the Judge are regarded unprecedented as well: declaration of the trial as "abnormal" and violation of a number of procedure norms on that ground, namely: conducting the trial in the absence of the accused and their lawyers, depriving the accused the right to defence, disregard for solicitation etc,point to the brazen violation of laws in force and all International norms.

***

The accused Omar Kochlamazishvili was relieved fora month from court sessions for illness on September 16. It's already two months that Kochlamazishvili demands his return to the trial, but the Collegium has done nothing for obtaining medical certificate on Kochlamazishvili's health condition. Thus, under the pretext of the vagueness of Kochlamazishvili's condition the latter is deprived the right to attend the trial. His lawyer D. Baghaturia refuses to appear at the Court in the absence of his defendant. All this has not discouraged the Judge Dolidze from trying Kochlamazishvili's case. His so-called accomplices and witnesses are already examined. It might be stated that thanks to the all-out efforts of the Judge M.Dolidze this trial will go down in the history of jurisdiction.

***

In the previous issue, we informed the reader about the fact that the lawyer Yuza Jghamadze, participant of the trial on the "Case of Gamsakhurdia and his supporters", had sued the Collegium for his illegal dismissal from the Collegium of Lawyers. It must be noted that it's the second case of a lawyer's dismissal from the job since Tengiz Nizharadze, the defender of Zaza Tsiklauri and Viktor Domukhovski has been dismissed from the Collegium.

On December 2, Tbilisi Mtatsminda Region Court was to hear the case. Which was adjourned. The lewyers believe that this case will drag on, as the Collegium won't have I. Jghamadze restored in his functions till the Court decision on "Case of Gamsakhurdia and his supporters" is reached. This seems likely, as Jghamadze's restoration in his rights will put the matter of T.Nizharadze's restoration on the agenda, as a result of which both lawyers will reassume their functions. Such turn of events does not suit the persons concerned. As it seems, Mtatsminda Region Court will turn to Jghamadze's claim after the end of the "Main Case".

Nino Chechelashvili.

## Political prisoner David Talashvili

David G.Talashvili was born on January 15, 1962, in the village of Gavazi, Kvareli Region. He finished school in 1979. Served in the army for two years. Worked as a farm machine operator. Is married and has two children.

He took part in the defence of Samachablo's Georgian population. Before the detention, September 11, 1992, he was subjected to persecution as the supporter of the legal government and President.

On September 2, 1992, his 6 months pregnant wife and his father were arrested. The moment he learnt about their detention he came to Kvareli Police Department. Having undergone severe stress his wife lost her baby. Several days later after his arrest he was transferred to Tbilisi Department of Internal Affairs, were he was brutally treated, till he was taken to the Isolation cell on September 23. According to the Criminal Code of the Republic of Georgia he was charged with banditry (article 78), terroristic activity (article 67), sabotage (article 69), high treason (article 65), illegal keeping of arms (article 238).

He was sentenced to 12 years of imprisonment in the strict regime colony prison and was sent to Ksani Colony Prison.

At present he serves his time in Tbilisi Avchala prison.

## Evidence given by David Talashvili at the hearings of the so-called "Kvareli Case".

July 20, 1993,
Tbilisi
Supreme Court.

I have given a written as well as an oral evidence: "in August of 1992, I met a friend, Givi Ioramashwili who asked me to help "Kvareli forest boys". We went there and met them. Then we had a little talk; Irakli Dokvadze asked for my address and telephone number. He wrote it down...For two days we provided them with bread. We haven't seen them since then. Later, we heard on TV that there was "a gang" in Kvareli forest. I told my family that it was a lie and that a friend of mine was there too.

A week later a rumour reached us that "the gang" had been arrested in Kvareki. Having heard this, I went to see my friends in the forest and asked them to leave immediately, as somthing might have happened.

They listened to me and decided to leave the place. Shooting started while they were leaving. The force was brought into Kvareli, so I could not leave the city either.

The next day I returned home to find out that all were arrested and went down to the police department to find out what had happened. I was told that my address and phone number had been found in Dokvadze's pocket book. So, I was detained. In the cell, Nodar Kirkitadze, ( the head of "Mkhedrioni" Kvareli Region Department -edit) told me I was a Zviadist bastard. I was beaten severly by the "Mkhedrioni" and then taken to the police chief and examined. Later, I was transfered to Preventive - detention cell in Tbilisi. In the office of David Zeikidze (Tbilisi Police Chief - edit). I was insulted once again. There were Anzor Baluashvili (head of the group investigating the "Case of Zviad Gamsakhurdia and his supporters".) and two other persons. My hands were tied with a telephone cord and I was given a brutal beating. Nobody responded to my shouts.

On September 17, they started to "work" on me. There was a man who introduced himself as my lawyer. They beat me with truncheons, saying: "Your life is in our hands". (an officer on duty said later, he was amazed at my endurance.)....Then I was taken upstairs to the gym and hung by a leg for ten minutes. They brought Gedi Gelbakhiani in and asked me if I knew him. I said I didn't. Then I was asked if I knew his son Petre Gelbakhiani. I said I didn't know him either. Gelbakhiani was tortured in my presens. To stop his torture I cried out that I knew him. They wrote down something which Gedi Gelbakhiani signed. I didn't sign anything. Afterwards they tied me on to the chair and Zaza Khizanishvili (he probably is a hired murderer - edit) started to hit my feet soles. I didn't even know who he was, but the inspector summoned him and paid in my presence. They warned me to keep silent about the fact or they would make the things worse for me. After I was transferred to prison and interrogated, I told them that whatever they wrote I wouldn't sign it. Gedi Gelbakhiani, Anzor Baluashvili and others were present at my interrogation. Gedi was severely beaten. Baluashvili threatened to torture Gelbakhiani in case I didn't sign the papers. That's why I signed them at last. But later, I learnt that Gedi Gelbakhiani was beaten all the same. If an educated man like professor Gelbakhiani had undergone such brutal treatment who would have spared us. Our sole thought was to survive somehow and appear in the court.

I'd like to repeat Baluashvili's words spoken to me and Gedi: "You will degenerate Georgia if given a chance. I'll go to my Israel, my fatherland, but won't let you have this country either"; to which Gedi replied: "You are free to do whatever you please with your own fatherland"

I'm accused of providing bread for "Kvareli boys" and co-operation with Gedi Gelbakhiani.

Now, I'm ready to answer any question. But first, I'd like to mention the fact that the Police in Kvareli detained my wife (6 months pregnant) and father. They kept them there for 11 days. My wife lost the baby. This is all I wanted to say.

Cross-examination

lawyer Marina Bakradze: What's the name of the lawyer you mentioned.

Talashvili - Nodar Deisadze....the lawyer told me he couldn't act as a witness in court...

The judge: Check the signatures. vol IV, 18, IX.

Interrogation protocol.

Talashvili: The signatures are not mine.

The judge: It is signed by lawyer Deisadze.

Accused Valter Ochigava: When Deisadze came to see me Talashvili asked him if he was present when the protocol was being signed. Deisadze said he was not. Talashvili told him he would have to come to the trial and say so. Daisadze refused to do so.

Lawyers: Is this your signature?

Talashvili - No; it is not.

Lawyer Kiria - You deny everything. Maybe you can say something about your accusation, which reads: "Domukhovski, Kvantaliani, Dokvadze...Sabotage in Kvareli"

Talashvili - I have nothing to say. I've never ever met Domukhovski. As for Ochigava, I have met him in prison.

Lawyer Kiria - Heve you given such evidence during the preliminary investigation?

Talashvili - No, I have not.

The judge Tkeshelashvili - Show him this. Do these signatures belong to you. (reads the texts)

Talashvili - No, they do not.

Judge Tkeshelashvili - Volume 7, (reads the solicitation)

Ilia Nanobashvili, the lawyer.

Talashvili - I have never written anything like that. I don't even know who Nanobashvili is. .

Lawyer - Is this your signature?

Talashvili - No. None are.

The judge - Has the investigator shown you the case materials?

Talashvili - No.

The judge - Have you signed any document during the preliminary investigation?

Talashvili - No, never. I have never even been asked to.

*(Documents are being chechbed. Talashvili refuses to acbnowledge the signatures as his).*

## Revolution devours its own children

Assassinations and terroristic acts against the Tbilisi putsch heroes began back in 1992. First such act was carried out against Tamaz Kurashvili, 'Mkhedrioni" member and a close associate of Jaba Ioseliani, who was blown up in his own car on June 17, in front of his house. Next victim was Zaza Vepkhvadze.

Beginning from 1994, series of assassinations have started. Nicoloz Kekelidze, Karkarashvili's friend and his deputy when the latter was a Minister of Defence, was Killed in the explosion in his own house. Chief of Traffic Police, Gia Gulua was shot dead in front of his house. Besides, for the last three years many famous and less famous representatives of the dirty business fell victims to the lobby "arm-wrestlings". Some were killed during the street clashes, some were machinegunned at their houses. Former President of the National Bank, Demur Dvalishvili died under suspicious circumstances.

It must be noted that none of the above-mentioned terroristic acts have been solved. Moreover, it is not even clear if the investigation is being conducted.

The most recent of the killings was that of Giorgi Chanturia, shot at the entrance of his house, in the broad daylight, in front of several witnesses.

The assassins acted openly, cold-bloodedly, with the habitual, professional brutality. Taking into account his personality, his political stand and the fact that he, by no means, was opposed to the present regime, his murder could not be classified as an ordinary reprisal. This act might give a start to a campaign of terror unleashed in the midst of the regime as Kirov's murder in 1934 started the Stalinist purge. If the prognosis turns out to be correct, the whole serries of similar acts are to be expected in the near future, which will turn the spectrum of political forces in Georgia into monochrome. Thus, the country has a grim prospect of being gripped by one strict hand.

Romanor Saginashvili

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia